# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 225 კვირა, 11 ოქტომბერი 1909 წ. № 225

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., ხზვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტისა ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ., ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვი, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს არ ინახება. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА»

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



## დროება

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული

**სურათებიანი დამატება**

გაზეთის ფასი დამატებიანა: პირველ ოქტომბრიდან წლის ბოლომდე 3 მან., ერთი თვით 1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба" И. С. АГЛАДЗЕ.


ამხანაგები მწუხარებით აცხადებენ გარდაცვალებას

**მიხეილ დავითის ძის კიკნაძისას.**

გამოსვენება ავლაბრიდან პეტრე-პავლეს საყდრის გვერდით საავადმყოფოდან დღეს, დილის 9 საათზე, ბინაზე. (პანასევიჩის ქუჩა, № 27, მე-8 ნაწილი). და იქიდან დაკრძალვა კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. (უ. 2—2)

---

დავით გიორგის ძე და ანასტასია დავითის ასული, ნატალია, ელენე, ივანე და ნიკოლოზ დავითის ძენი და ასულნი და სოფიო არტემის ასული კიკნაძენი და პავლე ანტონის ძე კალატოზიშვილი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი ორი—საყვარელ შვილის, მეორენი—ძმის, მესამე—მაზლის, ხოლო უკანასკნელი—ცოლის ძმის

**მიხეილ დავითის ძის კიკნაძისას.**

გამოსვენება ავლაბრიდან პეტრე-პავლეს საყდრის გვერდით საავადმყოფოდან დღეს, დილის 9 საათზე, ბინაზე. (პანასევიჩის ქ., № 27 მე-8 ნაწ.). და იქიდან დაკრძალვა კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. (1—უ.—1)

---

მართა დავითის ასული აგლაძე აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ დღეს, 11 ოქტომბერს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი

**გიორგი დავითის ძის აგლაძის**

სულის მოსახსენებლად. (1—1)

---

ლევან მნაცაკანის ძე პოლოსოვი და ოჰანეზ ავეტიქას ძე ტერ-ავეტიხოვი მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და მეგობართ გარდაცვალებას

**ბაიანე გრიგოლის ასულის პოლოსოვისას.**

მიცვალებულს გამოასვენებენ დღეს, 11 ოქტომბერს, დილით 11 საათზე (ავლაბარი ფალავანდოვის შესახვევი, სახ. აბოევისა № 4) გრიქორ განმანათლებელის ეკლესიაში; ხოლო იქიდან ხოჯი-ვანქის სასაფლაოზე დასაკრძალავად. (1—500—1)

---

კნეინა ბარბარე რაფიელის ასული ხიმშიაშვილისა, შვილები გიორგი და ეკატერინე, მარიამ გიორგის ასული ღლონტისა, ნინო გიორგის ასული და კონსტანტინე იოსების ძე ყავრიშვილები შვილებითურთ ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ვერაგულად მოკვლას პირველის—საყვარელ მეუღლის, მეორეთა—მამის, მეოთხისა და მეხუთის—ძმის, მეექვსის ცოლის ძმის

**თავ. ნიკოლოზ გიორგის ძის ხიმშიაშვილისას.**

დაკრძალვა ს. ბულაჩაურში, სამშაბათს, 13 ოქტომბერს. (1—504—1)

---

## ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

**ხუთშაბათს, 15 ოქტომბერს, 1909 წ.**

სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველ სექციისაგან წარმოდგენილი იქნება:

**სამშობლო ბანაკში**

დრამა 4 მოქმედებად ბეიერლეინისა.

წარმოდგენაში მონაწ. მიიღებს სექციასთან არსებული სცენის მოყვარეთა მთელი დასი.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

**ადგილების ფასი ერთი შაურიდან ათ შაურამდე.**

ანონსი: შემდეგი ქართული წარმოდგენა გაიმართება შაბათ საღამოს, 24 ოქტომბერს. მზადდება წარმოსადგენად; „ღალატი" სუმბათაშვილისა და სხვ.

დაბეჯითებითა ვთხოვთ საზოგადოებას, სხვის ადგილზე ნურავინ დასხდებიან. პატარა ბავშვების თეატრში შეშვება სრულიად აკრძალულია. წესიერების დაცვაში იმედია თვით საზოგადოება დაგვეხმარება.

(3—3) რეჟისორი **შათირიშვილი.** ადმინისტრატორი **სვირელი.**

---

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

**ტარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

**ვოკზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.**

**ს. ვაშაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

**გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

**ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**გ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

**ს. მუსხელიშვილი**—სამშ., ხუთშ., შაბ. 2—2½ ს. თვალისა.

**ზ. ა. პოპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვ. ყოველ დღე 12—1 ს.

**ე. გ. ფელდთროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძებისგასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—6.—177)

---

წარმოდგენა № 6. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 6.

**კვირას, 11 ოქტომბერს, 1909 წელს**

ქართულ დრამატ. საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება **ან. ჩირგაძის და ნ. კოლხიდელის, ვალ. გუნიას და შ. შარაშიძის მონაწილეობით** ცნობილი პიესა ა. სუმბათაშვილისა.

## ღალატი

ლეგენდა-დრამა 5 მოქმედებად. თარგ. გ. ყიფშიძისა.

ზეინაბის როლს შეასრულებს ქ-ნი ან. ჩირგაძე რუქაიასას—ნ. კოლხიდელი. ოთარ-ბეგისას—ვალ. გუნია.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: ტასო აბაშიძე, ნ. კოლხიდელი, ბ. ნებიერიძისა, ნ. ჯავახიშვილი; ბ-ნნი ვ. აბაშიძე, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ნ. გვარამძე, ი. ივანიძე, ი. იმედაშვილი-ხაშმელი, ვ. მატარაძე, ი. ზარდალიშვილი, შ. საფაროვი.

**ადგილების ფასი:** ლოჟები 12 მ. 50 კ.-დან 5 მ.-მდე, პარტერი 3 მ. 50 კ.-დან 1 მ. 60 კ.-მდე, გალერეია 40 კ.-დან 20 კ.-მდე, მოწაფეთათვის 40 კაპ.

**დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზედ.**

მზადდება წარმოსად. „აი გიდი მეგობრებო".

მორიგი რეჟისორი **ვ. აბაშიძე.** რეჟისორის თანაშემწე **ვ. ურუშაძე.**

**დრ. საზოგადოების ადმინისტრაცია.**

---

ქართული წარ- **ავლაბრის თეატრი** მოდგენა № 3.

**კვირას, 11 ოქტომბერს 1909 წ.**

ქართულ სცენის მოყვარეთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება

## პარიზის ღარიბ-ღატაკნი

დრამა 5 მოქმ. თარგმ. ვ. გუნიასი.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი რჩეულოვი, ლელაშვილი, კავთელი, ფეიქრიშვილი; ბ-ნნი გელიკურაშვილი, ჯიბლაძე, სალაყაია, დავიდოვი, გომელაური, ქიზიყელი, მესხიძე, მაისურაძე, მირველოვი და სხვ.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ✦ ადგილების ფასები 10 კ.—დან 80 კ.—მდე.**

უმორჩილესადა ვთხოვთ საზოგადოებას, რომ თვით დაგვეხმაროს წესიერების დაცვაში, სხვის ადგილზე ნურვინ დაჯდება, პატარა ბავშვებს თეატრში ნუ შემოიყვანენ და თეატრში სტვენა და აურ-ზაური აკრძალულია, წინააღმდეგ შემთხვევაში თეატრიდან გაყვანილი იქნება.

რეჟისორი **ამო-ხარაზიანი.**

(2—2) დირექცია **ამო-ხარაზიანი.**

---

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.**

ქსენიას ქუჩა, სახლი № 7, „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

**ბალარჯიშვილი ვ. დ.** შინ. და ბავშვ. ყოველ-დღე, გარდა კვირისა 2—3 ს.

**ლამბაშიძე ვ. დ.:** შინ. და ბავშვ. ყ.-დღე; კვ. გარდა 11-12 საათ.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—11 ს.

**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**კარშინი ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

**მალალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**მანსვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ., ხუთშ., და შაბ. 1—2 ს.

**მელიქიშვილი ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველ-დღე 12—1 ს.

**მუსხელიშვილი ვ. ს.** თვალის, ორშ., ოთხშ. და პარას. 2—2½ ს.

**ფირადოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ დღე 11—12 საათ.

**პაპოვი ზ. ა.** ყურ., ყელის და ცხვირ. ყოვ. დღე, გარდა პარას. 2—2½ ს.

**რცხილაძე ნ.** კბილ. ყოვ. დღ. 9—10 ს.

**სობოლევსკი გ. ვ.** ქირურ. ყოვ. დღ. 9—11 საათამ.

**თიკანაძე ი. ე.** დედაკ. საბებიო ყოველ დღე 1—2 ს.

**ფედოროვი ე. გ.** მიკრ., ქირ.-ბაქტ. გამოკვლევა. (100—6.—9)

---

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსა მ. გედევანიშვილისა.

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყიფღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (0—6.—79)

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა, N 25.

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი**

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ)

**ქუთაისში**

კბილის ექიმის **დ. ს. რაჟინაშვილის** კაბინეტთან **გაიხსნა**

## სამკურნალო

პირის და კბილების სენისა. პლომბები, ჩასმა ხელოვ. კბილებისა, გადაკეთება, კბილების ამოღება და სხვა ოპერაციები უტკივრად. ნიხრი მთავრობისაგან დამტკიცებულია. მოსიარულე ავად. მიიღება ყოველ დღე დილის 8-დან საღ. 7 ს.-მდე. პუშკინის ქუჩა, საკ. სახლი, N 28. **ვიტუშინსკის** აფთიაქის გვერდით. (100—6.—16)

**ექიმი**-სპეციალისტი ქ. ქუთაისში **ჩარექოვი**

იღებს განსაკუთრებით სიფილისიან, ვენერიულ და კანით ავადმყოფებს. ილია ჭავჭავაძის ქუჩა (გეგუთის ქუჩა) აბულაძის შესახვევი, იოსელიანის სახლი, დილით 12—2 ს., საღამ. 5—6 ს. (25—ფ.—2)

## სამკურნალო

**ექიმთა საზოგადოებისა**

მუდმივ კრაოტებით.

მიხეილის პრ., 59. ტელეფონი N 1026.

**ავადმყოფთა მიღება:**

**მ. ალაჯანოვი**—საშარ. სიფილ. და კან. 11—12 საათ.

**ნ. ათენიანცი**—ყურ., ცხვირ. და ყელ. 1—2 ს.

**ვ. ვნუკოვი**—ქირურგიული ავად. 1—2 ს.

**ი. ეგიაზაროვი**—ნერ. და შინ. 11—12 ს.

**მ. კიმონტი**—ქირურგ, ავად. 11—12 ს.

**მ. მაგაკიანი**—შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

**ლ. მონინა**—ქალის ავად. და ბებიაობა 1—2 საათ.

**ა. კალმიკოვა-ვნუკოვა**— ქალის ავად. 2—3 საათ.

სამკურნალოსთან ელექტრონით ექიმობა. მასაჟი; მიკროსკ., ბაქტერ. და ქიმიური გამოკვლევანი. ყვავილის აცრა. ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კ. ოპერაციები და კონსულტ. შეთანხმებით. საავადმ. განყოფილება შესდგება საზოგ. პალატებისა და ცალკე ოთახებისაგან. (100—ხალ.—26)

---

**ექიმი ლ. ნ. ოჯანჯანოვი**

ყოფილი ასისტენტი პროფ. ნეისერისა ბერლინში, სპეციალურად: **საშარდეს, სიფილისის, ვენერ. და კანის ავადმყოფობანი.** დილით 9—11 ს., საღამოთი 6—8 ს. ბავშვები და ქალები 11—12 ს. კადეტის ქ., N 2. (გოლოვინსკის კუთხე.) (100—ხალ.—34)

**ექიმი კაკიტელაშვილი**

**ქუთაისში**

9 ივლისიდან ავადმყოფებს მიიღებს ხომხის ქუჩაზე, თოფურიასეულ საავადმყოფოსთან. მიიღებიან შინაგ., ბავშვთა და ქალთა ავადმყოფობით სნეულნი. დილით —11 ს. საღამოთი 5—7 ს. (100—6.—87)

**ექიმი კ. ს. ფონ-ირტელი**

არჩენს სპეც. თირკმ., საშ., ვენერ., სიფ., ქარ. და კანის ავადმ. (სქეს. უძლ., სისუსტ., ქრონ., ტრიპერი) ელექ.-სამკ. კაბ. დილ. 9—12 ს., საღ. 5—8 ს. ვორონ. მეგლ., მონუმენტის შეს. N 5, ს. მაფრანოვისა, ბუფ. გვერდზე. (100—ხალ.—20)

**ექიმი ვ. ლამბაშიძე**

გადავიდა გოლოვინის პრ N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**ექიმი ე. ვაშაკიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს, დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—26)

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოლაშვილი**

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი** კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დემიდოვი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბორონის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—269)

**ექიმი ი. ნ. ეგიაზაროვის**

ელექტრო - თერაპევტიული კაბინეტი. სპეციალ. ნერვებისა და შინაგ. ავადმყოფობანი. მიღება დილით 12—1 ს., საღამოთი 6—7 ს. ველიამინოვის ქ. N 4. (100—ხალ.—29)

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე**

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი ვასილ წერეთელი**

**ქუთაისში**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—21)

---

**ექიმი ვ. მაგაკიანი.**

**შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, სპეციალური ავად. ნაწლავებისა და კუჭისა.** ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 5—6 ს. მიხეილის პრ., N 36, ს. ჭავჭანიძისა. (100—ხალ.—38)

**ექიმი** ქუთაისში **კ. თ. ტყეშელაშვილი**

იღებს შინაგან და **სპეციალურად ვენერიულ** სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7; კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა (0—კვ.—80)

**ექიმმა** ქუთაისში. **ვოლოხმა**

ავადმყოფობის შემდეგ განაახლა ავადმყოფების მიღება. დილით 10—12 ს., ხოლო საღამოთი 5—7 ს. კვირაობით მიღება მხოლოდ 1-მდე. (25—კვ.—1)

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 481.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 ს.-მდე.

**რიდელი**—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4 ს.

**თეთრაძე**—სიფ., ვენერ., კან. ყოველ დღე 1—3 საათ.

**პავლოცკი**—ქირურგ. ყოველდღე 4—5

**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბთ. ოთხშ., პარას., კვირა 11—12 ს.

**ბოგუსკი**—შინაგანი, ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

**ჩუდნოვსკი.**—ნერვებ., სულ.-ავ. ელექტრ. ორშ. ოთხშ.და პარასკ. 4—5 ს.

**ერმოლაევი**—ბავშ. ყ.-დღე. 1—2 ს.

**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველ დღე 2—3.

**ნოვიცკი**—ბებ., ქალ., ყოველ დღე 1—2

**ახვლედიანი**— შინაგ. და ბავშ. ყოველ დღე 11—12½ ს.

**კალამქაროვი**—ბებ., ქალ. ყ.-დღ. კვირ. გარდა 4—5 ს.

**ბალდინა-ნოვიცკაია**—ცხვ. ყელ. ყურ. 11½—12½ ს.

**ასპიროვი**—ცხვ. ყელ. ყურ. 1—2 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსერმანის შრატით. (00—6.—102)

---

კახეთის მევენახეთა ღვინის დამყენებელი

გლეხთა ამხანაგობა

**„კახეთი"**

Товарищество крестьянскихъ кахетинскихъ виноградовладѣльцевъ

**„Кахетія"**

ამ ეტიკეტით იყიდება ჩვენი ღვინო ყველა საბაკალეინო მაღაზიებში და სასმელების დუქნებში.

10 ბოთლს ზევით ეგზავნებათ ჩვენის ხარჯით თბილისში.

По такой этикетѣ продается наше вино во всѣхъ бакалейныхъ магазинахъ и питейныхъ заведеніяхъ.

Свыше 10 бут. доставляется нашимъ подводомъ въ Тифлисѣ.

Адресъ: Тифлисъ, Русская ул. № 7. Михаилу Никол. Кодалову.

(100—6.—5)

---

## შპალიერი

ძმ.

## ტარნოპოლების

**ფაბრიკის**

იყიდება იმპერიის ყველა ქალაქის დიდ მაღაზიებში.

**განყოფილება ტფილის.:** გოლოვინის პრ. 21, სადაც თეატრია საარტისტო საზოგადოებისა.

**ფასები საფაბრიკოა.**

ტელეფონი N 355.

ნიმუშები უფასოდ. (25—6. 16)

---

**იყიდება ყველგან ახალი**

## ჩანგი

წიგნი 502 გვ., ჩართულია 60 მეტი სურათი საზოგადო მოღვაწეებისა. დაბეჭდილია მრავალი ისეთი ლექსები, სცენები, სახუმარო და საოხუნჯო კუპლეტები, რომლებიც ჯერეთ არსად არ დაბეჭდილა. სხვათა შორის მოთავსებულია სამი პიესა: **„ადვოკატთან", „ტაინი სოვეტნიკის სიზმარი" და „უბედური დღე". წიგნი მშვენიერის ყდით ღირს 1 მ. 35** კაპ.—**უყდო 1 მან.** ფოსტით ვინც გამოიწერს, მას გასაგზავნი ფული არ გადახდება. ფულის მაგიერ შეიძლება მარკებიც. წიგნების გამყიდველებს დაეთმობათ პროცენტები.

ადრესი: Тифлисъ, „Сорапанъ" Гачечиладзе. (30—6.—26)

---

## „ტფილისის სობრანიე"

კვირას, 11 ოქტომბერს, 1909 წელს „სობრანიეს" საზამთრო სადგომში

პირველი საოჯახო

## საღამო.

საღამოზე დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი. ანონსი: შემდეგი საოჯახო საღამო სამშაბათს, 13 ოქტომბერს. (1—502—1)

---

ქართველ ქალთა ამხანაგობის

## სამკერვალო სკოლაში,

უფროს განყოფილებაში ჭრაკერვისა არის რამდენიმე **თავისუფალი ვაკანსია.** საჭიროა წერა-კითხვის ცოდნა და ცოტაოდენ ანგარიშისა. გაზაფხულზე ეგზამენის შემდეგ მოწაფეები მიიღებენ **ხელოსნის ხარისხის** ატესტატს.

ადრესი: ვერა, გაბაანთ ქუჩა, № 3. (3—უ.—2)

---

# ტფილისი, 12 ოქტომბერი

ტფილისის საგუბერნიო საერობო თათბირმა 10 ოქტომბრის სხდომაზე გადასწყვიტა ერთი უმთავრეს საკითხთაგანი: როგორი ტიპის ერობა უნდა დაარსდეს ჩვენში. დიდის ხმის უმეტესობით დადგენილ იქმნა, რომ მომავალი საერობო შენობა სამ სართულიანი უნდა იქმნას: მცირე საერობო ერთეული, სამაზრო და საგუბერნიო ერთეულები. როგორც მკითხველს ეხსომება, ჩვენი გაზეთი იმ თავითვე ამგვარ ტიპის დამცველად გამოვიდა; კერძოთ, მცირე საერობო ერთეული ჩვენც სწორედ იმ სახისა და შედგენილობის გვინდოდა, როგორიც კრებაზე გადაწყდა. არ შეგვიძლია სრულის კმაყოფილებით არ მივეგებოთ ამ გარდაწყვეტილებას, რადგან მას დიდი მნიშვნელობა აქვს მთელის საერობო საქმისათვის.

ჩვენის ღრმა რწმენით, შიდა რუსეთის საერობო საქმე უმთავრესად იმიტომ დაკნინდა და დაქვეითდა, რომ თავიდანვე დემოკრატიულს საფუძველზე არ იქმნა აგებული. ადგილობრივი თვითმართველობის შემქმნელნი მაშინ ხალხისადმი უნდობლობით იყვნენ გამსჭვალულნი და ჰფიქრობდნენ, რომ უაპეკოდ, უხელმძღვანელოდ ხალხი თავის ადგილობრივ სამეურნეო-საკულტურო საქმეებს ვერ გაუძღვებაო. ეს იყო ძველი ბიუროკრატიული პრინციპი და იგი გადატანილ იქმნა სათვითმართველობო საქმეშიაც; ხალხი დააშორეს თვითმართველობას, შექმნეს ცენზიანი სამაზრო და საგუბერნიო ერობანი, რომელნიც ამ მიზეზის გამო თან და თან ბიუროკრატიულ დაწესებულებებად გადაიქცნენ... ჩვენს საერობო თათბირზედაც აღმოუჩნდა იდეოლოგები ასეთ „საპეკო პრინციპს": ხალხი მზად არ არის თვითმართველობისათვის და მისი მომზადება, გაწვრთნა ზევიდან, სამაზრო ერობიდან, უნდა დაიწყოსო. ახალი რამ არაფერია ამ არგუმენტში: არ ყოფილა არცერთი დიდი რეფორმა, რომ ამ მოუმზადებლობაზე არ აეტეხნათ ყაყანი იმათ, ვისაც არ ჰსურს ან აშინებს განზრახული რეფორმა. „აპეკის" იდეოლოგები უარს არ ჰყოფენ იმ ფაქტს, რომ ჩვენი სოფლის ხალხი ნიჭიერია, გონიერია, საკმაოდ კულტურულიც (ამას წამ და უწუმ იმეორებდნენ) და მიუხედავად ამისა მაინც მოუმზადებლობას ებღაუჭებიან, თითქო მომზადება შეიძლებოდეს გარეშე თვით საქმისა, თვით პრაქტიკისა, გარეშე ისეთ დაწესებულებისა რომელშიაც თვით ხალხი იღებს მონაწილეობას. „მომზადების" მოტრფიალეთ უნდა გავახსენოთ ინგლისის ცნობილ ისტორიკოსის მაკოლეის კლასსიკური პასუხი, რომ ადამიანი ვერასოდეს ვერ ისწავლის ცურვას ხმელეთზე. ხოლო ჩვენმა ხალხმა ცურვა უკვე იცის და თანამედროვე დუხჭირ პირობებშიაც-კი გონივრულად აწარმოებს ზოგ ადგილობრივ საკულტურო საქმეს. რასაკვირველია, პირველ ხანებში ბევრი შეცდომა იქნება, ბევრგან, შეიძლება, არა კეთილი ელემენტიც ისარგებლებს

უეცრობით და დაეპატრონება ახალ საზოგადოებრივ საქმეს; მაგრამ თვით-მოქმედება, თვითმართველობა არის **ერთად-ერთი სკოლა,** რომელიც თან და თან გამოზდის ხალხს. ასეთ სკოლად არასოდეს არ იქნება სამაზრო ერობა, რომელიც საკმაოდ შორს იდგება სოფლიდან და რომელშიაც ხალხის მონაწილეობა ნება-უნებლიეთ სუსტი იქნება...

სამართლიანობა მოითხოვს ვთქვათ, რომ საგუბერნიო თათბირზე იყვნენ ისეთებიც, რომელნიც პრინციპიალურად არ ეწინააღმდეგებოდნენ მცირე საერობო ერთეულს. ჩვენ სახეში გვყავს ისინი, ვინც შიშობდა, რომ მსამსართულიანი ერობა ვერ განხორციელდება ფინანსიურის მოსაზრებებით (მხოლოდ ესენი და არა მოწინააღმდეგეთა უმრავლესობა, რომელიც თუმცა თავის თავს მომხრედ აღიარებდა, მაგრამ შემდეგ ისეთ საბუთებს და მოსაზრებებს უყენებდა წინ ამ საკითხს, რომ აშკარად ამტკიცებდა თავის **პრინციპიალურად** წინააღმდეგობას). მაგრამ, ჩვენის აზრით, ეს შიში გაზვიადებულია. ჯერ ერთი, როცა საგლეხო სამმართველო გადაკეთდება, ხოლო უამისოდ მცირე საერობო ერთეული ვერ განხორციელდება, მაშინ სასოფლო გადასახადების სამი მეოთხედი მაინც მცირე საერობო ერთეულის განკარგულებაში გადავა (ტფილისის გუბერნიაში ამ გადასახადის რაოდენობა 700 ათას მანათს აღემატება); მეორეც ის, რომ საკუთარ საჭიროების გამძღოლი ხალხი, განთავისუფლებული აპეკისაგან და თვით-მომქმედი, მეტის გაწერას მოახერხებს, როცა დაინახავს, რომ ფულის პატრონი და დამხარჯველი მხოლოდ თვითონ არის. ეს ერთხმად და ენერგიულად დაადასტურეს იმ გლეხებმაც, რომელნიც საგუბერნიო თათბირში იღებენ მონაწილეობას. ყოველ შემთხვევაში, მცირე საერობო ერთეულს ისეთი დიდი მნიშვნელობა აქვს და იმდენი უპირატესობა-ღირსება, რომ სამაზრო ერობა, კიდეც რომ შეუმცირდეს სახსარი, ამით საქმე, მთელი ადგილობრივ თვითმართველობის საქმე, არ გაფუჭდება...

მცირე საერობო ერთეულის მიღებას დიდი მნიშვნელობა აქვს საგუბერნიო სათათბიროს შემდეგ მუშაობისათვის. რაკი სათვითმართველობო შენობას ასეთი დემოკრატიული საფუძველი, უკეთ ვთქვათ, ასეთი საძირკველი დაედო, ზედშენობაც შესაფერისად უნდა აიგოს. თუ „იაჩეიკა" უწოდებრივო და დემოკრატიული იქნება, შემდეგი საფეხურებიც ამის მსგავსი უნდა იყვნენ. ამას მოითხოვს ლოგიკა, ამასვე მოითხოვს ცხოვრება და აწინდელი სინამდვილე. წარმოუდგენელია, საძირკველი დემოკრატიული იქნეს, ხოლო ზედ აგებული სამაზრო და საგუბერნიო ერობა 1890 წლის დებულების პრინციპებზე აშენებული. მცირე საერობო ერთეულის მიღება ავალებს საგუბერნიო კრებას ძირიანად შესცვალოს საარჩევნო უფლებაც, საარჩევნო წესებიც; აღარც აწინდელ საერობო დებულების ცენზს, აღარც საარჩევნო კურიებს ადგილი აღარ უნდა ჰქონდეს იქ, სადაც საერობო შენობის ქვა-კუთხედი მცირე საერობო ერთეული იქნება.

ვიცით, რომ ამის პასუხად თათბირის მრავალი მონაწილე გვეტყვის: ასეთ ერობას ჩვენ ვინ მოგვცემსო და სხვა ამგვარი. მაგრამ, ეს სუსტი საბუთია. რაკი ისეთი ცვლილება, ისეთი რეფორმა შევიღეთ, როგორიც არის მცირე საერობო ერთეული, რომლის მოცემასაც არავინ დაგვპირებია, ლოგიკურად უნდა წავიდეთ წინ და მთელის სათვითმართველობო საქმის გადემოკრატება უნდა მოვითხოვოთ. ჩვენი აზრი და სურვილი მკაფიოდ უნდა გამოვხატოთ და ფრთების შეკვეცის საქმე სხვას დავუთმოთ. ნამეტურ სტოლიპინის სიტყვის შემდეგ, რომელზედაც გუშინ გვქონდა ლაპარაკი და რომლითაც მან შეგვატყობინა —რა ერობის მიცემას ჰფიქრობს მთავრობა დასავლეთ გუბერნიებისათვის,— აღარ გვმართებს იმ საზომით ხელმძღვანელობა, თუ რის მოცემა შეუძლია მთავრობას. თუ ამაზე იმტვრია თავი საგუბერნიო კრებამ, ისა სჯობს ეხლავ დაიშალოს, რადგან მთავრობა, როგორც სჩანს, 1890 წლის დებულებასაც არ იმეტებს განაპირა ქვეყნებისათვის...

## ქუთაისის ადმინისტრაცია და ჩვენი საზოგადო საქმეები

((დასასრული *)

ქუთაისის ბატონ-პატრონები ეცნენ ახლა ქუთაისის სადგილ-მამულო ბანკს და აქაც უმაღლეს მთავრობას მოსთხოვეს არა ჩვეულებრივი რევიზია ბანკის საქმეებისა. ჩვენ შეიძლება წინააღმდეგნი ვიყვნეთ ჩვენის ბანკის მართვა-გამგეობის სისტემისა, შეიძლება თვით ჩვენ კრიტიკაც გაუკეთოთ და რევიზიაც, მაგრამ ამგვარ საქმეებში სხვისი რჩევა და ჩახხირება სრულიადაც არ უნდა იყოს სასიამოვნო. ჩვენი საზოგადოებრივი გაწრთვნა კი იმდენად სუსტობს, რომ ზოგიერთს „რიგიანს", „განათლებულს" მოქალაქესაც კი სასიამოვნოდ მიაჩნია, თუ ადმინისტრაცია ამ გვარ საქმეებში ერევა. იგი არც „რიგიანობისა" და არც „განათლებულობის" მაჩვენებელი არ არის. ეს ამტკიცებს მხოლოდ იმას, რომ ჩვენ სულწასულნი ვართ, გარყვნილნი ვართ დესპოტიურის რეჟიმით და ერთად ერთის საქმის მხსნელად და მშველელად პოლიციელი მიგვაჩნია. როგორც გაზეთებიდან ვცანით, აქაც მგონი საწადელისათვის ვერ მიუღწევიათ და „კონსტიტუციონურ სამინისტროსაც" კი ზედ-მეტად მიუღია იმ დაწესებულების რევიზია, რომელსაც სათავეში თვით მთავრობის მოხელე უდგას.

ამასაც არ დასჯერდნენ და იმ „არხი-კეთილსაიმედო" დაწესებულებასაც კი ეჭვის თვალით შეჰხედეს, როგორიც არის ქუთაისის თ.-აზნაურობის დეპუტატთა საკრებულო. ჯერ ჩუმჩუმად ალუძრეს ეჭვი კავკასიის უმაღლეს მთავრობას მარშლების საეჭვო მოქმედებაზე სათავად-აზნაურო თანხების შესახებ და შემდეგ, როცა აქ ვერას გახდნენ, ეცნენ თ.-აზნაურთა სიებს და დაიწყეს ქექა და ძიება. თ.-აზნაურთა მორიგი კრება უნდა მომხდარიყო წარსულ მაისში. როგორც მოგეხსენებათ, სიები დგება ხოლმე სამაზრო კრებებზე და იქვე მტკიცდება. არავის არა აქვს უფლება, გაერიოს ამ სიების შედგენაში. მიუხედავად ამისა, „კანცელარიებში" სიები წაიღეს და დაუსვეს წითელი ნიშნები; ვინც რომ კანცელარიულ სფერებში" მოწონებული ბრძანდება, ყველას წითელი ნიშანი დაუსვეს და სიები ისე შემცირდა, რომ მთელს გუბერნიაში მგონი ოცდა-ათ კაცს აღარ შერჩა ხმა. კანონით ხმა აქვს ყველას, ვისაც კი ორასი დესეტინა მამული მოეპოვება, თუ ამასთან ან სწავლა აქვს დამთავრებული საშუალო სასწავლებელში, ან „ჩინი" რამე აქვს, სულ ერთია, თუ კი აქვს ორასი დესეტინა, იხდის სახელმწიფო გარდასახადს ამ მამულში თუ არა. აქაურმა „კანცელიარიამ" კი ასე განმარტა: ვინც არ იხდის ორას დესეტინაზე გაწერილს გადასახადს, გამოირიცხოსო. კი ნუ ფიქრობთ, მარტო პეტერბურგში იყვნენ „კანონის განმმარტებელნი"; ამისთანა განმმარტებელი ყოველ „ავტონომიურ" საგენერალ-გუბერნატოროში მაიპოვება.

ტენდენცია იქნამდისაც კი მივიდა, რომ ერთ კერძო დაწესებულებას მისწერეს, ეს და ეს კაცი გამომირიცხეთ თქვენის სამსახურიდანაო. აი სადამდის მიდის ჩვენის საქმეების ტრაგი-კომიზმი.

ერთის სიტყვით, არ დარჩენილა ქუთაისში არაფერი, რომელსაც კი საზოგადოებრივობის ნიშან-წყალი აქვს, რომ „გაპალაჩებას" არ ექადნოდნენ. ეს ასეც უნდა იყოს „კონსტიტუციონურ" დროში, მაგრამ აქ სამწუხარო საზოგადოების დაუდევრობა და გულგრილობაა. ასეთი მოქმედება შეუძლებელი იქნებოდა, რომ საზოგადოებას თავისი ყადრი და თავისი პატივისცემა ჰქონდეს. უთუოდ „შეიარაღებული აჯანყება" კი არ არის საჭირო ყოველივე უფლების დასაცველად. ხან და ხან სიმტკიცე პრინციპებისა, თავის თავის ყადრი, თავის უფლებების პატივისცემით შეუდრეკელად და სისტემატიურად დაცვა უფრო ნაყოფიერია და ხელსაყრელი, ვიდრე წუთიერი აფეთქება, რომელსაც მრავალი სიძნელე ელობება წინ და რომელიც არა ყველასათვის არის შესაძლებელი. მაგრამ ხათაბალაც ის არის, რომ ჩვენი საზოგადოება იმდენად დაბეჩავებულია, რომ არ ესმის, არ გაეგება, რა არის ადამიანისა და საზოგადოების თვითარსებობა უფლების დაცვა.

ჟურნალ-გაზეთობის საქმეა სამარცხვინო ბოძზე მიაკრან ისეთი კაცები, რომელთაც „ჩვენის საზოგადო საქმეების" მამა-მთავრობა აქვთ მინიჭებული, მაგრამ ყველაზე მეტ სილაჩრეს ამ საზოგადოების პატივის დაცვაში ისინი იჩენენ.

**იმერელი ამომრჩეველი**

*) იხ. „დროება" N 224.

## უთანხმოებანი

(ხაერობო თათბირი)

9 ოქტომბრის სხდომა მეტად საყურადღებო იყო. წინა სხდომაზე კრებამ კამათი გაათავა. საკითხი თითქმის გამორკვეული იყო. 9 ოქტომბერს კრებას უნდა მოესმინა მომხსენებლების ალექსანდრე მდივნისა და თავ. ა. მ. არგუთინსკის სიტყვები. ამის შემდეგ კრება კენჭის ყრით გადასწყვიტავდა საკითხს —წვრილი საერობო ერთეული თუ მარტო სამაზრო და საგუბერნიო ერობა. მაგრამ კრების გახსნისას თავ. პ. თუმანიშვილმა მოითხოვა სიტყვა და დაიწყო იმის მტკიცება, რომ კამათი არ შეიძლება გათავებულად ჩა თვალოს; გლეხებმა საკმაო საბუთები ვერ წარმოადგინეს წვრილ საერობო ერთეულის საუპირატესოდაო. კამათი ხელმეორედ გაჩაღდა. საიდანღაც გამოვიდა კ. თუმანიშვილი, შედგა ესტრადაზე და შეუდგა ვრცელ მოხსენების კითხვას. მცირე საერობო ერთეულის დამცველთ ერთი მოწინააღმდეგე კიდევ გამოუჩნდათ. იგი ამტკიცებდა ფინანსიურ მხრით წვრილი საერობო ერთეული ვერ გაუძლვება საქმესაო. გამოვიდნენ კიდევ სხვა ორატორებიც, ლ. ჯანდიერი კვლავ ირწმუნებოდა, ქართველები ნაკლებად შეგნებული ხალხია, საქმეებს ვერ გაუძლვებიანო, მე მესმის გერმანელებმა რომ მოითხოვონ მცირე ერთეული. იმათში დისციპლინაა, შეგნებაც არის ქართველები კი, თუ სადავე არ დაუჭირე, საქმეს ვერ გააკეთებენო. ბ-ნი გულისაშვილიც, ძალიან გატაცებული ქვეყნის „ხსნით" ახალი „საბუთებით" კვლავ გაილაშქრა მცირე საერობო ერთეულზე.

ალ. ხატისოვმა მშვენიერი სიტყვა წარმოსთქვა, ძლიერი სიტყვა. ხატისოვმა არც ისინი დაივიწყა, რომელნიც ადგილობრივ მცხოვრებთა უკულტურობას ამტკიცებდნენ. ირგვლივ მოსეულ მტრებს ტფილისის გუბერნია საუკუნოებით იგერიებდაო. კულტურა და ცხოველმყოფელობა რომ არა ყოფილიყო ამ ხალხში, სულერთიანად აღიგვებოდა დედა-მიწის პირისაგანაო. შეცდომაა ისიც, ვითომ რუსის გლეხები უფრო კულტუროსნები არიან ადგილობრივზე. ეხლაც აუარებელი წიგნი და გაზეთი ვრცელდება ადგილობრივ მცხოვრებთა შორის, გაცილებით მეტი, ვიდრე რუსებს შორის და შეგნებაც მეტიაო. ხატისოვმა იმათაც გასცა პასუხი, ვინც ამტკიცებდა, გლეხები საარჩევნო წესებს შეჩვეულნი არ არიან და ხმოსნების არჩევას ვერ მოახერხებენო. სომხებში დიდი ხანია საყოველთაო არჩევნებით ირჩევენ საეკლესიო საქმეების გამგეებს. ქართველებშიაც 1905 წ. ათის თავებსა და ასისთავებს ირჩევდა ხალხი. მოუმზადებლობას ვერ დავწამებთო. მივცეთ ხალხს საშუალება—თითონ განაგოს თავისი ბედიო. ვიმეორებთ, ძლიერი იყო ეს სიტყვა.

გვაზავამ კვლავ გაილაშქრა წვრილ ერთეულის წინააღმდეგ, მაგრამ მისი ხმა სუსტი იყო. საბუთები ნაცნობი, ძველი გამოდგება. სასწაულთმომქმედი ვერც ის მოსაზრება გამოდგა, რომ ჯერ სამაზრო ერობა და მერე თითონ იმან მოაწყოს მცირე საერობო ერთეულებიო.

საზოგადოდ, ბევრი ახალი არაფერი თქმულა ამ კრებაზე. სიმართლე უნდა სთქვას კაცმა, გულისაშვილმა „ახალი" საბუთი წარმოადგინა: სტოლიპინი ძალიან რეაქციონურ პოლიტიკას აწარმოებს, ახალი პროექტიც შეუდგენიაო. სწორედ ახალი რამეა სტოლიპინის რეაქციონერობა. ეს საბუთებიც იმდენადვე შეეხებოდა მცირე ერთეულს, რამდენადაც სამაზროსა და საგუბერნიოს.

ყველაზე საბუთიანად მომხსენებელმა ალ. მდივანმა ილაპარაკა. პასუხი გასცა ყველას. ბევრი ახალი მოსაზრებაც მოიყვანა და მრავალისათვის ნათელ ჰყო მცირე საერობო ერთეულის საჭიროება და უპირატესობა.

როგორც ხატისოვი, ისე მდივანი ხანგრძლივის ტაშის ცემით დააჯილდოვეს.

ამ სხდომაზე კიდევ ერთი რამ საყურადღებო გამოირკვა, ის, რაც ჩვენ დიდი ხანია ვიცით. გამოირკვა, თუ რა სიდუხჭირეში ჩვენი სოფელი, როგორი გონებრივ და ზნეობრივ ავლადიდების ხალხია სოფლის ბატონ-პატრონი. თავ. ლ. ჯანდიერს უთქვამს ივ. ჯაბადრისათვის (როგორც ამ უკანასკნელმა განაცხადა) ბოქაულები და საზოგადოდ სოფლის პოლიცია თაღლითები („მაშენიკები") არიანო, იმათ ხელში რა უნდა გააკეთოს კაცმაო. 35 წელიწადი ყოფილა მაზრის უფროსად თავ. ჯანდიერი, გამოცდილი კაცია და ყველაფერი დაეჯერება. ვკითხოთ თავ. ჯანდიერს, ასეთ უფროსების ხელში რა ინიციატივა უნდა გამოეჩინა სოფელს? თავი და ბოლო უბედურებისა სწორედ ის გახლავთ, რომ ხალხში ინიციატივას მათრახით ჰკლავდნენ და ჰკლავენ.

იმავე თავ. ჯანდიერმა განაცხადა: გუბერნატორმა გვითხრა ორ მაზრის უფროსს—ვინ ცმეტს ხორბალს შეაგროვებს, იმას ორდენზე წარვადგენო. შანშიევმა მეტი მოაგროვა და აგერ ჰკიდია კიდეც გულზეო. ხომ ჰხედავ, მკითხველო, როგორ „მზრუნველობას" იჩენდნენ სოფლისთვის!

კრებაზე დემოკრატიზმმა გაიმარჯვა, მიიღეს წვრილი საერობო ერთეული, აგრეთვე სამაზრო და საგუბერნიო ერობა. ს.

## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

10 ოქტომბერი

### სპარსეთი

**თავრიზი.** გენერალ-გუბერნატორის თაოსნობით შესდგა ამხანაგობა. ამხანაგობას აზრად აქვს ურმიის ტბაზე გემების წესიერი მიმოსვლა მოაწყოს. გერმანიის ფირმის წარმომადგენელი შიუნემანი. უკვე გაემგზავრა ურმიაში იმამ-კული-მირზასთან მოსალაპარაკებლად. ურმიის ტბა ამ უკანასკნელს ეკუთვნის.

ხმა დადის, შაჰსევენებმა სულ ერთიანად აიკლეს არდებილიო. ეს ერთი კვირაა არდებილსა და თავრიზს

---

## განთიადი

განთიადმა შვილდ-ისარი
მოიმარჯვა-მოიქნია,
წყვდიადს გულში ჩაესო და...
გააპო და გააბნია.

***

ნისლმა კალთა შეიბლერტა,
სუსხი განკრთა შიშის მგვრელი;
ელვამ გაჰკრა მთის მწვერვალებს,
ცამ მოიხსნა ძაძა ბნელი.

***

გადახადა შავი რიდე
ჯანღ-ბურუსით მოცულ არეს
და გიჟმაჟად შესთამაშა
დილის ციაგს მოელვარეს.

***

ცის მტრედის ფერ კაბადონზე
სხივს ისროდა შუქ-ნათელი
და ქვეყანას გულს უთბობდა
საყვარელი... სანატრელი...

***

ჩემო კარგო! მომე ხელი...
გეყო რაკ სვი შხამ-სამსალა;
გულის პასუხს მიგვხდომია
ბუნება და მისი ძალა!..

**ი. გრიშაშვილი.**

## სიმღერა

საზღვარი მივეც ყრუ დუმილს,
გულის მღრნელ დამწყლულებელსა;
დახშული კარი გაუღე
სილაღის მომნიჭებელსა!
ხელი მოვკიდე შვილდ-ისარს,
შეუდექ ბრძოლის ზრუნვასა;
იმედის ქარი დავქროლე
სევდის ნისლს, სულის ჭმუნვასა
ოცნების მერანს მივაფრენ
მთა-ბარათ, მინდორ-ველათა;
არწივებს უხმობ, უყივი,
ყორნებთან საბრძოლველათა!!

**გოგია უიშვილი.**

## ადამიანი

ვარსკვლავნი ჰკრთიან, მთვარე მისცურავს,
ჩასძინებია ღრუბელს ცის ძირში;
აყუდებულან ცათამდე მთები
და ზეზეურად წასულან ძილში.
მაღალ ფერდობზე ობოლი მუხა
წყნარად დაჰყურებს თავისს აჩრდილსა;
იმის გადაღმა სდუმს ტყე ძლიერი,
უსმენს ნაკადის ჩუმსა ჩხრიალსა;
და უფრო ქვევით მშვიდის ძილითა
მდუმარებს კორდი ყვავილიანი.
ხოლო სულ ქვეით, დაბალ ვაკეში,
კვნესის, ქვითინებს ადამიანი!..

**ი. მჭედლიშვილი.**

## მოგონება

(ვუძღვნი ტასო ამირეჯიბს)

თქვენ გახსოვთ ისეთი ღამე, როცა მისი საამო სიბნელე, მის შავფრთოსანი წყვდიადი მზიან დღეშიც კი სანატრელია?

როცა უსამზღვროს იჩუმე, სიჩუმე ნაზი, ფხიზელთ-უფხიზლესი, რომელსაც მშვიდობიანობას ურღვევს და შფოთვაში მოჰყავს თვით ანგელოზთა ფრენასაც კი, მშობლიურის გრძნობით იხუტებს თავის მკერდში მთელ ქვეყანას და ქვეყანაც ჩაყუჩებული, სულგანაბული, თითქოს იგი ყურს უგდებდეს სადღაც შორეულ სულების ქვეყნიდან ქვეყნად ქროლვას, ადამიანის ბედნიერებისა და უბედურობის ჰაერში ფრენას.

ამ სიბნელეში, ამ სიჩუმეში იბადებიან ახალნი აზრნი, აზრნი დიადნი, შორს წარმტაცნი, მზის სხივებისთვის უხილავნი!

მაშინ იღვიძებენ უცნობი გრძნობანი, უცნობ სიამის, უცნობ ტანჯვის მაძიებელნი, დღის სინათლისთვის შეუმჩნეველნი.

გახსოვთ, მაშინ როგორ იცვლება ადამიანის არსება? ნეტარის ოცნებით ფრთებ შესხმული იგი აღარ ეკუთვნის ამ ქვეყანას. უზომო გრძნობებით აღტაცებული იგი აღარ ჰგრძნობს ამ ქვეყნიურ ტკივილსა, წუხილს და არც სიამეს. იგი იფლობა სამარადისო კითხვებში, სამარადისო გრძნობებში და ღამის სიჩუმით შეპყრობილი, მისის სიბნელით გარემოცული, ლამაზ ოცნებით მოჯადოვებული, ვარსკვლავთა სინაზით გრძნობა აშლილი მთელი არსებით მიესწრაფის, ნატრობს, სწყურია, რომ იგიც უყვარდეს ვისმეს და მასაც უყვარდეს ვინმე; რომ ამ სიყვარულში ძვირფასი გრძნობებით ჩააქსოვოს თავისი ახალგაზრდული სიცოცხლე, მისით აყლერის თავის სიამე, მისით აკვნესის თავისი ტანჯვა.

სწორედ ასეთ ღამეში ვნახე იგი. მას მივესალმე ისეთის ნაზის, ისეთის წმიდა, ახალის გრძნობით, რომელსაც იშვიათად იხილავს ხოლმე მოკვდავთა სანეტარო სიყვარული.

ეს გრძნობა აქამდის ჯერ არ შემიმჩნევია ჩემში, იგი პირველად გამოიწვია მისმა ნახვამ.

ყოველი მისი ახალი ნახვა ჩემში იწვევს ახალ გრძნობას.

იგი იჯდა.., ოჰ, სიყვარულით თავდავიწყებავ! აღარც კი ახსოვს იდაყვ-დაყრდნობილი თუ გულხელდაკრეფილი, მხოლოდ მახსოვს, რომ კოხტა თავი, როგორც დილის ვარდი, ჯერ ნიავისგან შეურხეველი, მსუბუქად აეწია მაღლა, ხოლო მისი თვალები, ტრფობის ალმჰზნებნი, მისჩერებოდნენ შორს... ძალიან შორს და იმ თვალით მოწყვეტილ სივრცეში უნდოდათ დაენახათ სრულიად მახლობელი, თითქმის ნაცნობი რამ.

მეც მივსჩერებოდი მის სახეს. ოჰ, ეს სახე, ეს ძვირფასი სახე!

ჩემ ხარბად მაცქერალ თვალებს რამდენი სილამაზე მოუტაციათ მისთვის, რამდენი წარმტაცობა მოუწყვეტიათ მასზე, რამდენი სატრფიალო გრძნობა, რამდენი სინაზე, იგი მაინც ლამაზია, მაინც წარმტაცი, ნაზი, ტრფობით აღსავსე,..

მე მივჩერებოდი ამ სახეს, ამ სატრფიალო საგანს და იმის სიმშვენიერეში ვეძებდი რაღაც შორეულს, თითქოს მიუწდომელ რამეს.

მაგრამ ამ შორეულის, ამ მიუწდომელის ნაცვლად, სრულიად მოულოდნელად მასში ვპოვე მისი მშვენიერების ახალი საუნჯე, ახალი დიდება.

მე შევამჩნიე იმის სახეში ისეთი სიმდიდრე, რომელიც წინად არ უხილავთ ჩემ ხარბად მაცქერალ თვალებს. არ ვიცი, ეს სიმდიდრე ჰაეროვანი იყო, თუ მის სახეში ხორცათ ქცეული; არ ვიცი, იგი თვით სახეში იყო ჩანერგილი და იქიდან აფრქვევდა თვის საამო სხივებს, თუ ზევიდან ჰკრთოდა იმის სახეზე, როგორც წყნარი ნიავი, ჰკოცნიდა ეალერსებოდა იმის სიტურფეს, მის სილამაზეს და ამ კოცნაში, ამ ალერსში იქცეოდა იმ მომხიბლავ სხივებად, რომელნიც პირველად მიესალმენ ჩემ გრძნობით აღსავსე გულს.

მივსჩერებოდი ჩუმად, მაგრამ მღელვარებით და გულში ვიწვევდი ახალ ადამატურ ძალას ჩემის თვალებისთვის, ჩემის გრძნობებისთვის, რომ უფრო მძლავრად მოეზიდათ ჩემ გულთან მისი სინაზე, სილამაზე და სიკეკლუცე!..,

იგიც იჯდა წყნარად, მაგრამ უცნაური იყო მაშინ მისი სახე! ადამიანი ვერ შეატყობდა, ნაზი ღიმილი ლაჰკრთოდა მას თუ მსუბუქფრთოსანი მოწყენილობა, მაგრამ რადგან, მეც არ ვიცი რისთვის, მაშინ მე არ მინდოდა, მეხილა იგი მოღიმარი ამიტომ მე ვივიდე იგი როგორც მოწყენილი.

— რათ მოგიწყენია, სიხარულო?

— რათ დაღვრემილხარ, სიყვარულო?

— რისთვისა სდუმხარ, ჩემო ოცნებავ!

ვეკითხებოდი გულში ჩუმად, შეუმჩნევლად.

არ ვიცი, ესმოდა თუ არა მას ჩემი კითხვები... აწვდიდა თუ არა ეთერი ჩემ გულის თრთოლვას, ვხედავდი მხოლოდ, რომ იგი ნაზ პეპელასავით იჯდა ისევ შეურხევლად, ისევ წყნარად და მოწყენილად.

— კიდევ მოიწყინე, ჩემო სიხარულო, თუ გინდა უფრო მომაჯადოვო შენის სიტურფით.

— მეტად მოიწყინე, ჩემო იმედო თუ გინდა უფრო მომხიბლო შენის წარმტაცობით?

— უფრო მოიწყინე, ჩემო ღვთაებავ, ჩემო ნუგეშო, თუ გინდა უფრო შორს წარმიტაცო შენის სიტურფით და სიკეკლუცით!

ისევ ჩუმად, ისევ შეუმჩნევლად ვიმეორებდი გულში იგი მაინც იჯდა წყნარად—ისევე მოწყენილად როგორც წინად.

მე მინახავს იგი ბევრ თავის ტოლებში, მხიარულობით გატაცებული, როცა სიცილი, როგორც წყარო, როგორც ჩანჩქერი, როგორც სიცოცხლე მრავალ ზვირთებად ამოსჩქეფდა იმის ნაზ მკერდიდან და სახემცინარი, თვალებმხიარული, გულით მოხარული მაშინ იგი ყველაზე ლამაზი იყო, ყველაზე მიმზიდავი, მაგრამ ეხლა კი თავის მოწყენილობით მაშინდელზე უფრო ტურფაა, უფრო ლამაზი და მომხიბვლელი,

მინახავს იგი ამწვანებულ მთის კალთებზე, სადაც ორივენი მივეშურებოდით სადღაც მაღლა მდებარე სოფლისკენ, რომ ჩვენ სილამაზით გაუმაძღარ გულს იქ ეხილა ბუნების უფრო მეტი სიდიდე მეტი სიმშვენიერე. გალაღებული მთის ჰაერი სიამეს გვგვრიდა ორივეს; იგი ისეთი ნაზი იყო, ისეთი განმსჭვრეტი, რომ **მისი** სილამაზის უმნიშვნელო წერტილი, შეუმჩნეველი ხაზიც კი არ იკარგებოდა მის უსაზღვრო სინაზეში და სავსებით გადმოსცემდა მათ **მისთვის** მოტრფიალე გულს.

მზეც თითქოს უფრო მეტ სინათლეს, მეტ სიხარულს ატანდა თავის სხივებს; თითქოს განგებ სცდილობდა, მისი დაფარული სინაზე, მისი უხილავი სიამე ნათელ-ეყო ჩემთვის,

— ოჰ, გმადლობ, მზეო, მაგ სამსახურისთვის, გმადლობ!

ვუმადლოდი გულში.

ჩვენ მივეშურებოდით უფრო მაღლა. ჩვენის სიამით გაუმაძღარი თვალები ესალმებოდნენ და ემშვიდობებოდნენ მთის ლამაზ სურათებს, ამწვა-

...ში ტელეფონი აღარ მუშაობს. ამ-...ვე აღარ დაიარებიან ქარავნები. ...დგანაც მთავრობას ფული და პა-...რონები არა აქვს, ამიტომ რახიმ-...ხანზე გალაშქრება გვიანდება.

თეირანიდან ჩამოვიდა 200 სპარ-...ელი ყაზახი და 400 გაწვრთნილი ...ცხენოსანი. ეს რაზმი არდებილში ...სათარ-ხანის გამოსახსნელად მიდის.

**საზღვარ-გარედ.**

**მადრიდი.** დეპუტატთა პალატა. ...სხდომის დაწყებისთანავე რესპუბლი-...კანელებმა ყვირილი დაიწყეს, „გაუ-...მარჯოს თავისუფლებას! სიკვდილი ...მაურას“. მთავრობის პარტიამ რეს-...პუბლიკანელებს მკაცრი სიტყვებით ...მიმართა, დეპუტატთა პალატაში ერ-...თი აურ-ზაური იდგა. რესპუბლიკა-...ნელები ყვიროდნენ „მოიტანეთ კუ-...ბოები და სანთლები“. დეპუტატების ...დასამშვიდებლად პალატის თავ-...მჯდომარემ განაცხადა, მაურას სა-...მინისტრო გადადგაო. ამის შემდეგ ...პალატის სხდომა დაიხურა.

**ლონდონი.** შეფილდში გარეშე ...საქმეთა მინისტრმა გრძელი სიტყვა ...წარმოსთქვა. მან სთქვა: იმ გარე-...მოებით, რომ ‘მარშან ბალკანეთის ...კრიზისი მშვიდობიანად დამთავრდა, ...უფლება გვეძლევა ვიფიქროთ, რომ ...შემდეგშიაც ესეთი კრიზისები მშვი-...დობიანად დამთავრდებიან და საერ-...თაშორისო მშვიდობიანობა არ დაირ-...ღვევაო. ეხლა ზოგიერთების აზრით ...ჩვენ სხვა სახელმწიფოების ‘შინა-...ურ საქმეებშიაც უნდა ჩავერიოთ ...მაშინაც კი, როდესაც ჩვენ ინტერე-...სებს არ ეხებიან. ჩვენ რომ ესე მო-...ვიქცეთ, დარწმუნებული უნდა ვი-...ყოთ, რომ სხვებიც ასე მოიქცევიან ...და ამ შემთხვევაში ერთი არევ-დაი-...რევა გამეფდება. მე წინააღმდეგი არა ...ვარ იმ აზრისა, რომ ამა თუ იმ სა-...ხელმწიფოს კულტურულ მცხოვრე-...ბლების შეხედულებას და აზრებს ...გავლენა აქვთ სახელმწიფოების ურ-...თიერთ დამოკიდებულებაზე, მაგრამ ...ამ საქმეს ჩემის აზრით, მარტო ხელს ...უშლის ის, რომ მთავრობებს სთხო-...ვენ სხვის შინაურ საქმეებში ჩაერი-...ვნენ.

**სტამბოლი.** სარწმუნო წყაროე-...ბიდან იუწყებიან, რომ დარდანელის ...სრუტის საკითხს, რომელიც ლივა-...დიაში აღიძრა, ჯერ არ განიხილა-...ვენო. რუსეთი და ოსმალეთი ამ ჟა-...მად იხილავენ რუსეთ-ოსმალეთის ...ეკონომიურ საკითხს, მათ შორის, მცირე აზიის ჩრდილოეთ ნაწილის რკინის გზების შესახებო.

**მადრიდი.** ახალი სამინისტროს შედგენილება: მინისტრ-პრეზიდენტი და შინაგან საქმეთა მინისტრი—მორეტი, გარეშე საქმეთა მინისტრი—პრეც კავალიერო, ფინანსების—ალვარადო, სამხედრო—ლიუკი, საზღვაო—მირალი კონკასი, საერო განათლების—მინისტრად ნამყოფი ბაროზო, იუსტიციის—მარტინეც-დელკამი და საზოგადო მუშაობის—გასსეტი.

**რომი.** ბრანჩიანოდან გაფრინდა სამხედრო ჰაეროსტატი. ჰაეროსტატმა 7 საათში მიუხედავად იმისა, რომ დიდი ქარი ჰქროდა, 300 კილომეტრი გაფრინდა.

**რაკონიჯი.** ელიან რუსეთის იმპერატორის ჩამოსვლას. ამიტომ ქალაქში დიდი მზადებაა. ჟურნალისტებს რესტორანის აივანზე ადგილს უმზადებენ. ხელმწიფე-იმპერატორის საპატიო მხლებლებად დაინიშნა გენერალი და 50 კირასირი. მეფემ და დედოფალმა დაათვალიერეს სადგური, რომელსაც ქალაქი ამშვენიერებს.

**გალლე** (საქსონია). გაზეთების სიტყვით მანსფელდის ქარხნის გაფიცულ მუშების წინააღმდეგ მანსფელდში გაიგზავნა რამდენიმე როტა ჯარი. ერთი ქარხნის წინ ოთხი ტყვიის მტყორცნელი დადგეს.

**ვენა.** დეპუტატთა პალატამ თავმჯდომარედ აირჩია პატტაი.

**პარიზი.** რადიკალური პრესსა სალამს უძღვნის ესპანიის ახალ სამინისტროს და იმედოვნებს, რომ ახალი სამინისტრო შესძლებს ესპანიის საკეთილდღეოდ მუშაობას. „ჟურნალი“-ს აზრით, საზღვარ-გარედ მომხდარმა მანიფესტაციებმა ფერერის სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ გავლენა იქონიეს მაურას სამინისტროს გადაყენებაზე. „ფიგარო“-ს სიტყვით მადრიდის მცხოვრებლებმა კარგად იცოდნენ, რომ უმაღლეს წრეებს ფერეროს სიკვდილით დასჯა არ უნდოდათ, მაურა მათ წინააღმდეგ წავიდა, რამაც მისი გადაყენება გამოიწვიაო.

**მიწის-ძვრა.**

**კატანია.** დილის 7 საათზე ამმალატში, აჩი-რეალეს ახლო, მიწა იძრა. დაზიანდა ბევრი სახლი. შეშინებული ხალხი მინდორში გაიხიზნა.

**აჩი-რეალე.** 8 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, ქალაქის მიდამოებში მიწა იძრა. კარიკოსა, ლინერიისა და მანინში ათი სახლი დაინგრა, ბევრი დაზიანდა. დაიღუპა 1 კაცი. მცხოვრებლები კარვებში სცხოვრობენ.

**რ უ ს ე თ ი**

**პეტერბურგი.** გაზეთი „როსსია“ სწერს: ფინლიანდიაში ჯარის გაგზავნამ სხვა და სხვა ხმები გამოიწვია. პრესსის ერთი ნაწილის აზრით ჯარი ფინლიანდიის საწინააღმდეგოდ გაიგზავნა. ამბობენ, ვითომ მთავრობას უკვე გადაეწყვიტოს, ფინლიანდიაში სამხედრო წესები გამოაცხადოს და ეხლავე დაიჭიროს ვიბორგის გუბერნია. ნამდვილად კი მთავრობას არაფერი ამისთანა არა აქვს აზრად, მაგრამ ფინლიანდიის ზოგიერთ ჯგუფების და პირების მოქმედება აიძულებს მთავრობას ფინლიანდიაში ჯარი გაგზავნოს, რომ ფინლიანდიის მთავრობა იმ უმწეო მდგომარეობაში არ ჩაავდოს, როგორც ეს 1905 წელს მოხდა. თუ ფინლიანდიელებმა დაიწყეს ერთგულ ქვეშევრდომობის ვალი და პოლიტიკანებს დაუჯერეს, მაშინ ჯარის გაგზავნა ადვილი ასახსნელია. თუ ფინლიანდიაში სამხედრო წესები შემოიღეს, ამასაც ფინლიანდიელები გამოიწვევენ. ერთი სიტყვით თუ ფინლიანდიელები თავდავიწყებას მიეცემიან, მაშინ მთავრობა იძულებული იქნება შესაფერი ზომები მიიღოსო.

**პეტერბურგი.** საერო განათლების მინისტრმა სახელმწიფო სათათბიროში შეიტანა კანონ-პროექტი, რომლითაც უნდა გაუმჯობესდეს საშუალო სასწავლებლების მოსწავლეების მატერიალური მდგომარეობა, კანონ-პროექტით ვაჟთა გიმნაზიების, პროგიმნაზიების და რეალურ სასწავლებლების მასწავლებლებს თვითეულ ხუთ წელიწადს 300 მანეთი უნდა მოემატოთ. იქნობამდის, სანამ 2100 მანეთი არ გაუხდებათ. ამას გარდა დამატებით გაკვეთილების წლიური ფასი 75 მანეთამდე უნდა აეიდეს.

სენატმა განიხილა ნაფიც-ვექილ გრაფ სტიბორ-მარხოტსკის საქმე. მას ბრალდებოდა ცოლის და ორი შვილის მოკვლა, რისთვისაც ოდესის ოლქის სასამართლომ 3 ნახევარი წლით ტუსაღთა განყოფილება გადაუწყვიტა. სენატმა სასამართლოს განაჩენი გააუქმა და საქმე ხელმეორედ განსახილველად გადასცა.

**კიუვენეპე.** გერცენშტეინის მოკვლის საქმე. გერცენშტეინის ქვრივის ინტერესებს ზარუდნის მაგიერ იცავს ნაფიცი ვექილი ანდრონიკაშვილი. წაიკითხეს იუსტიციის მინისტრის წერილი და პეტერბურგის სასამართლოს პროკურორის რაპორტი. იუსტიციის მინისტრის წერილში სწერია, მთავრობამ არ აასრულა სასამართლოს დადგენილება დუბროვინის ძალით მოყვანის შესახებ, რადგან დუბროვინისთვის უწყება არ ჩაუბარებიათ, რაიც იმას ამტკიცებს, რომ დუბროვინი სასამართლოს არ გაურბისო. ამის შემდეგ ილაპარაკა იუსკევიჩმა.

**პეტერბურგი.** ადგილობრივ მეურნეობის საბჭომ განიხილა დასავლეთ რუსეთის ერობის შესახებ კანონ-პროექტი. საბჭოს აზრით დასავლეთ რუსეთში საერობო ხმოსნების რიცხვი დამოკიდებული უნდა იყოს მცხოვრებლების რიცხვზე და უძრავ ქონების ღირებულებაზე. ამას გარდა დასავლეთ რუსეთის სამაზრო ერობაში ხმოსნების ნახევარი რიცხვი უსათუოდ რუსებს უნდა ეკუთვნოდეს.

**პეტერბურგი.** დღე-ღამეში ხოლერით ავად გახდა 9, გარდაიცვალა 9, ავად არის 284 კაცი.

# ახალი ამბავი

**ტ ფ ი ლ ი ს ი**

✦ **„დაშნაკციუტუნის“ პარტიის კონგრესი.** „რუსკოე სლოვო“-ში ვკითხულობთ: „ვარნაში დამთავრდა მეხუთე კრება სომხურ პარტიის „დაშნაკციუტუნისა“. კონგრესზე გამოცხადდნენ დელეგატები რუსეთისა, სპარსეთისა, ოსმალეთისა და ამერიკიდან. კრებამ სამ კვირას გასტანა. კონგრესმა დაადგინა, კონსტიტუციის დასაცველად ოსმალეთში იმოქმედოს ახალგაზდა ოსმალებთან ერთად, კოალიციაში შევიდეს ყველა საოპოზიციო პარტიასთან რუსეთში, და საოპოზიციო ელემენტებთან ერთად იმოქმედოს სპარსეთში. კონგრესმა დაადგინა აგრეთვე, მოსპოს ყოველივე სეპარატისტიული მოძრაობა რუსეთისა და ოსმალეთის სომხებს შორის. რაც შეეხება პარტიის შინაურ პროგრამას, კონგრესმა სოლიდარობა გამოუცხადა საერთაშორისო სოციალისტურ პარტიას. შემდეგი კონგრესი ორი წლის შემდეგ მოხდება“.

✦ **მკვლელობა.** დუშეთის მაზრაში, სოფელ ბულაჩაურში მოუკლავთ მემამულე თავადი ნიკოლოზ გიორგის ძე ხიმშიაშვილი. საქმე ასე ყოფილა: 7 ოქტომბერს თავ. ხიმშიაშვილი წასულა ს. აბანოს ხევში, სადაც ზვარი უნდა დაეკრიბა. როდესაც რთვლის სამზადისში ყოფილა, ასე ნაშუადღევს 2 საათზე, ბოროტ-განმზრახველებს უსროლიათ თოფები მახლობელ ტყიდან, სადაც წინდაწინვე ჩასაფრებულან. ხიმშიაშვილი იქვე მომკვდარა.

✦ **„ნაკადული“.** მოგვივიდა საყმაწვილო ჟურნალის „ნაკადულის“ ორი ნომერი; მეათე (მოზრდილთათვის) და მეცხრამეტე (მცირე-წლოვანთათვის). ამ ნომერში მოთავსებულია ლექსები, მოთხრობები, წერილები თომაშვილისა, ევდოშვილისა, განდეგილისა, ცქვიტისა, თ. ამირეჯიბისა, მ. ლელაშვილისა, ნ. ჯანაშიასი და სხვათა.

✦ **პოლიტიკური საქმე.** თორმეტ ოქტომბერს ბათუმში ტფილისის სამოსამართლო პალატის სესსია განიხილავს საქმეს ერასტო და სოლომონ ურუშაძეებისა და ალფეზა კვაჭაძისას, რომელთაც ჰბრალდებათ ს.-დემოკრატიულ პარტიის წევრობა.

✦ **სროლა.** 9 ოქტომბერს $7^1/_2$ საათზე, პოლიციის მე-9 ნაწილში კერძო ვექილის იოველ ივ. ნატროშვილის ბინაზე მისულა მოხელის ტანისამოსში გამოწყობილი უცნობი კაცი და ზარი ჩამოურეკია. ნატროშვილს ფანჯარაში გამოუხედნია და უცნობისათვის უკითხავს, რა გინდაო. უცნობს უთქვამს, 50 მან. უნდა მომცეთო. ნატროშვილს უარი უთქვამს. უცნობს რევოლვერი უსროლია. ტყვიას გაუვლია ფანჯარაში და ნატროშვილის ტანისამოსი ოდნავ გაუკაწრავს. უცნობი მიმალულა.

✦ **ვაჭრობა „წერა-კითხვის საზოგადოების“ სასარგებლოდ.** ტფ. წვრილ ვაჭართა პროფესიონ. საზოგადოების მთავარმა კომიტეტმა შემდეგის მოწოდებით მიმართა თავის წევრებს: „ბატონებო! ოცდა ათ წელიწადზე მეტია არსებობს „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, რომელიც ფრიად დიდსა და სასარგებლო საქმეს ემსახურება—სწავლა-განათლების გავრცელებას: ჰმართავს სკოლებსა და სამკითხველოებს, ჰბეჭდავს სახალხო წიგნებს და შეძლების კვალობაზე ყველას ეხმარება, ვისაც კი ხალხში განათლების გავრცელება უნდა. ხოლო „წ. კ. საზოგადოებამ“ რომ თავისი მოვალეობა პირნათლად შეასრულოს, საჭიროა ყოველმა შეგნებულმა ადამიანმა, რითაც კი შეუძლია, ხელი გაუწოდოს და დაეხმაროს მას. სწავლა-განათლება დიდებული საქმეა და ამის სასურველად გავრცელება მხოლოდ შეერთებულის ძალ-ღონით შეიძლება. ამიტომ „წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ“ შარშან მიჰმართა ტფილისის ვაჭრებს, მწარმოებლებს, ხელოსნებს დახმარებისათვის და ყველა სიამოვნებით მიეგება ამას და დაადგინეს წელიწადში ერთი დღის ნავაჭრის ნაწილი წერა-კითხვის საზოგადოებას სახალხო განათლებისათვის შესწირონ. მაშინ ამ შემოწირულებამ 771 მან. 50 კაპ. მოუტანა „საზოგადოებას“. ამის მიხედვით წელსაც ვითხოვთ ამ ძვირფას საქმის ნივთიერად დახმარებას და იმედი გვაქვს არ მოაკლებთ წ. კ. საზოგადოებას ასეთ დახმარებას. წელს 23 ოქტომბრის ნავაჭრიდან უნდა გადაიდოს შეწირულება. ამ შეწირულების ასაკრებად წ. კ. საზოგადოების მხრით დანიშნული იქნებიან სანდო კაცები დაწესებულის ბარათებით და კვიტანციებით“.

✦ **ნება დართული პიესები.** საცენზურო კომიტეტს წარმოსადგენად დაურთავს შემდეგი ქართული პიესები: „სამეგრელოს მთავარი ლევან“—ვასილ ყიფიანისა, ნახუცრიშვილის ახალი დრამატიული ეტიუდი სამ მოქმედებად და ქართულად გადმოთარგმნილი „გეტერა ლაისა“.

✦ **ფუნიკულიორის ახალი დირექტორი.** ფუნიკულიორის ახალი დირექტორი ... შესდგომია თანამდებობის აღსრულებას.

✦ **ახალი ალმანახი.** დღეს გამოვა ახალი ალმანახი „ქართველი ერი“ შემდეგის შინაარსით: „გრიგოლ ვოლსკი.“—„ქუჯის ციხე“, ლექსი დ. თომაშვილისა.—„მელია სერეფენია“, ზღაპარი ვაჟა-ფშაველასი.—„ყვავილი“, ლექსი ი. გრიშაშვილისა.—„გიმნაზია თუ სამეურნეო სასწავლებელი?“ ვ. წ—სა.—„ხავერდის კაბა“, მ. ა—სა.—„მთის არწივი შამილი“, ა. ფრანგულისა.—„ნ. ხიზანაშვილი“, გ. ყ—სა.—„ნეკროლოგი“, ვ. დ—სა და „ერის უფლება“, Bâton-ისა.

✦ **ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოების ახალი გამოცემა.** მოგვივიდა გოგებაშვილის „დედაენა“ პირველი ნაწილი და „რუსკოე სლოვო“ მეორე ნაწილი. პირველი სახელმძღვანელო ოცდა მერვე გამოცემაა, მეორე—მეთვრამეტე. ორივე სახელმძღვანელო ჩვეულებრივ სუფთად და კარგად არის დაბეჭდილი.

✦ **უპასპორტოები.** 8 ოქტომბერს, პოლიციის მე-3 ნაწილში ჩხრეკის დროს დააპატიმრეს 11 უპასპორტო კაცი.

✦ 8 ოქტომბერს პოლიციის მე-10 ნაწილში დააპატიმრეს კანავა, რომელიც საგენერალ-გუბერნატოროდან გადასახლების შემდეგ ტფილისში დაბრუნებულა.

**ქ უ თ ა ი ს ი**

✦ **ილიას საღამო.** 27 ღვინობისთვეს წერა-კითხვის საზოგადოების ქუთათურ განყოფილების გამგეობის ხელმძღვანელობით გაიმართება საღამო განსვენებულ ილია ჭავჭავაძის სახსოვრად. შემოსავალი ამ საღამოსი გადაეცემა ჭავჭავაძის ფონდს. საღამო, როგორც შევიტყეთ, საინტერესო იქნება. გარდა ცოცხალ სურათებისა და სალიტერატურო და სამუსიკო განყოფილებისა, წაკითხულ იქნება რეფერატი ბ-ნ გ. ჟურულის მიერ, რომელიც დაახლოვებით იცნობდა განსვენებულ პოეტს. ამავე საღამოში მონაწილეობას მიიღებს თავ. ნ. ერისთავი, რომელიც, გარდა ლექსების წაკითხვისა, მონაწილეობას მიიღებს „დიმიტრი თავდადებულის“ სცენაზე დადგმაში. ამ პოემიდან სცენაზე დაიდგმება ორი სურათი—თათბირი მეფისა დიდებულებთან და ხალხის შეხვედრა მეფესთან. საღამოში მონაწილეობას მიიღებს ქართულ დრამატიულ საზოგადოების მთელი დასი. ეჭვი არ არის, რომ ქუთაისის საზოგადოება გაავსებს თეატრის დარბაზს.

✦ **პანაშვიდი.** განსვენებულ გრიგოლ ვოლსკის სულის მოსახსენებლად 9 ოქტომბერს ქალაქის გამგეობის მოწოდებით ქუთაისის საკათედრო ტაძარში გადახდილ იქმნა პანაშვიდი.

✦ **გამოფენის დახურვა.** ქუთაისის გამოფენის საორგანიზაციო კომიტეტმა გადასწყვიტა დახუროს დღეს გამოფენა.

## გრიგოლ ვოლსკის გარდაცვალების გამო

რედაქციამ მიიღო შემდეგი დეპეშები:

**ქუთაისი.** ქართველ საზოგადოებასთან ერთად ვგლოვობთ საზოგადო მოღვაწის ვოლსკის დაკარგვას.

გაზეთ „ფონის“ რედაქცია.

**ქუთაისი.** პოეტისა და სასარგებლო მოღვაწის გრიგოლ ვოლსკის გარდაცვალებამ დიდად დაგვალონა. გთხოვთ, გადასცეთ დასა და ნათესავებს ჩვენი გულწრფელი მწუხარება.

მფროხინე და ალექსი ჭიჭინაძენი.

**ქუთაისი.** დიდ მწუხარებას ვაცხადებთ ჩვენი სამშობლოს საუკეთესო შვილის გრიგოლ ვოლსკის დაკარგვის გამო.

ვასილ წერეთელი და გიორგი ქართველი

**ყვირილა.** ქ. შ. წერა-კითხვის გამ. საზოგადოების ყვირილის გან-

---

...ნებულ ბუჩქებს, უზარმაზარ ხეებს.

ყურს ვუგდებდი, როგორ ჩურჩულებდა ბალახი, მხიარულებდნენ ხის ტოტები. თითქოს იგინიც ქებას ასხავდნენ იშვიათ სტუმარს:

— ეს რა ტურფაა!

— რა ლამაზია!

— რა წარმტაცია!

— წაიღე, ტურფავ, ჩვენი სილამაზეც, ღირსი ხარ მისი!

— წაგვართვი, ლამაზო, ჩვენი მშვენება ის შენ გეკუთვნის!

— ჩვენ კი გიმღერებთ, ჰოი წარმტაცო, ქებათა-ქებას!

ნამდვილად ამას ღმღეროდა ბალახთ ჩურჩულიც, ხეთა შრიალიც და მეც ზანს ვაძლევდი ჩემის მღელვარებით იმათ აღტაცებას, იმათ მადლობას.

**იგიც**, თითქოს უგონებდა საყვარელ ბუნებას, ხარბად იზიდავდა თავისკენ მზის ნათელ სხივებს, იმსჭვალებოდა ჰაერის სინაზით და იმკობოდა ბალახ-ბულახის, ხეთა მშვენებით და სიკოხტავით.

მაშინ იგი თავის მშვენებით, თვალწარმტაცობით თვით ბუნებაზე მაღლა იდგა, მაგრამ ეხლანდელის მოწყენილობით იგი მაშინდელზე უფრო საყვარელი, ლამაზი, თავბრუდამხვევი.

— ოჰ, რატომ არ ღელავს, არა ბობოქრობს ჩემი ცხოვრება, რომ მისი ტალღები აქაფებულნი აქ მოვა ზღვაო და თუ სამუდამოდ არა, ერთის წუთით მაინც დავაწყნარო ამ მოწყენილობის წინაშე.

— ოჰ, რატომ ქარიშხალი არა ჰბერს, არა ჰქროლავს ჩემ ცხოვრებაში, რომ აქ მოვიწოდო იგი და თუ სამარადისოდ არა, ცოტა ხნით მაინც ჩავაყურო, ჩავაჩუმო ამ სიწყნარის წინაშე!

მე კიდევ მაგონდება ერთი სურათი:

იგი კოხტად და ამაყად იდგა ერთის მთის ნაპრალზე. წინიდან მოსჩანდა კოხტა მთა, გვერდიდან ტურფა მთა, მთებს იქით კიდევ მთები, მთა-გრეხილები, მწვანით მოსილნი და შემკობილნი. მეორე მხრით მოსჩანდა ველი, სიმინდით, ყანით აღელვებული. მთებ შუა კი ჩაჰქროდა პატარა სანჩქერი, დიდი ხმით მქუხარი, თითქოს ქვესკნელში მიისწრაფოდეს ზარით, ღრიალით და შველას სთხოვდეს მთებსა, კლდეებს, ბალახებს, ხეებს...

იგი აღფრთოვანებული მისჩერებოდა ამ ბუნების სიდიადეს, სილამაზეს...

მე კი მივსჩერებოდი მას, მხოლოდ მას...

იგი ხან მაგონებდა ახალგაზრდა შველს, ყელმოღერებით ნაპრალზე მდგომს, გადასახტომად გამზადებულს; ხან კიდევ არწივს, ფრთებ დაშვებულს, მაგრამ ყოველს წამს გასაფრენად კი გამზადებულს.

მაშინ ჩემ აღფრთოვანებას სამზღვარი არა ჰქონდა, მთელი ბუნების სილამაზეს და სიდიადეს იმის ფეხთ ქვეშ ვფენდი, მას შევხაროდი; მაგრამ ეხლანდელის თავის მოწყენით მაშინდელზე უფრო კოხტაა, თავბრუს დამხვევი, შესაყვარები...

არ ვიცი, ჩემს ფიქრებზე თუ მოგონებაზე მან თითქოს გაიღიმა. მეც დამბერა სიომ სიხარულისამ და მან თითქოს თავის ღიმილში ჩააქსოვა ჩემში გამოწვეული სიხარული და აღტაცება.

ამ უცნაურმა ღიმილმა ჩემში დაჰბადა რაღაც ძლიერი, მღელვარე გრძნობა. მე მინდოდა ეს უცნობი, ძლიერი გრძნობა გამომეხატა ჯერ კიდევ უცნობის, ძლიერის სიტყვით და გადმეცა მისთვის, მაგრამ ჩემმა გულმა აღარ მოითმინა და ისევ ძველის სიტყვით დაიწყო ჩურჩული.

— მიყვარხარ!..

— მიყვარხარ!..

— მიყვარხარ!..

ჩემი გულის ჩურჩულმა იგი თითქოს შეარხია.

მეც საპასუხოთ იმისაგან ველოდებოდი სრულიად ახალს და ძრიელ სიტყვას, მაგრამ მემგონი იგიც ისევ ძველის სიტყვით ჩამჩურჩულებდა:

— მეც შემიყვარდები!..

— მეც შემიყვარდები!..

— მეც შემიყვარდები!..

ამ იმედით აღგზნებულმა უფრო მეტის სიხარბით დავუწყე ცქერა მის მშვენებას და მის სახეზე შევამჩნიე რაღაც უცნაური სხივთა-კრთომა, უცნაური ნათელი.

თურმე ვარსკვლავნი მოკაშკაშენი სხივებს აფრქვევდნენ მის სილამაზეს, იმის სიტურფეს.

მე ყოველთვის მიყვარან ეს სიტურფენი, მაგრამ ეხლა კი მადამი უეცარმა შურმა იფეთქა ჩემ გულში.

— როგორ? მათ შეუძლიანთ თავიანთ სხივებით თავისუფლად ელაქუცონ, ეალერსონ, ჰკოცნონ, ეხვიონ ჩემ სატრფოს სახეს და მე კი მოკლებული ვიყავე ამ ნეტარებას!..

მაგრამ ჩემ შფოთვას ყურადღებასაც არ აქცევდნენ ის ციური მარგალიტები. იგინი თავიანთ სხივებით ისევ უხვად აფრქვევდნენ იმის სახეს თავიანთ სინაზეს, თავიანთ სინათლეს, თითქოს იგინი მასში ჰქსოვდნენ სულ ახალ გრძნობას, სულ ახალ ნიჭს მათ ჯერ კიდევ გაუცნობ სილამაზის, უხილავ მშვენების საგრძნობლად და გასაცნობად.

დიაღ, მშურდა, რომ ვარსკვლავნი თავისუფლად ეარშიყებოდნენ მას, მაგრამ მიხაროდა კიდეც, რომ იგი თავის სიტურფით თვით ცის მნათობთაც კი ჰხიბლავდა, აჯადოვებდა, და ჩემი გულიც მისით მოხიბლულ-მოჯადოებული წყნარად, ძალიან წყნარად, თვით ჰაერის შეუმჩნევლად ჩასჩურჩულებდა თავდაუჯერლად:

— მიყვარხარ!..

— მიყვარხარ!..

და თითქოს მისი გულიც, ჩემ გულზე უფრო ჩუმად, წყნარად თვითონ მისთვისვე შეუმჩნევლად პასუხს მაძლევდა:

— მეც შემიყვარდები!..

— მეც შემიყვარდები!..

და ეს პასუხი ჩემ გულში აყვავებდა ახალ იმედს; ჩემი ცხოვრების ცაზე ამოჰყავდა ახალი მზე, რომელიც მფენდა ახალ სითბოს, ახალ სინათლეს...

მაგრამ...

ყველაფერი ეს გაწვიცადე წარსულივით განვლილ ოცნებაში, იმედივით გამქრალ ოცნებაში...

იგი იყო თვით ოცნება...

მწარე სინამდვილე, ფუჭი სინამდვილე, მაშ რითი ამოვავსო, თუ არ ტკბილის ოცნებით?..

მ—ლი.

ყოფილების გამგეობა ღრმა მწუხარებას აცხადებს მგოსნისა და საზოგადო მოღვაწის გრიგოლ ვოლსკის გარდაცვალების გამო.

როგორც გუშინ ვწერდით, ცხედარი ოთხ საათზე გაასვენეს ვოგზალზე, ხოლო იქიდან 9 საათის მატარებლით—ბათუმს. ბ-ნმა ხატისოვმა, კ. აბაშიძემ და პ. სურგულაძემ სიტყვები ქვაშვეთის ეკლესიის გალავანში წარმოსთქვეს. მოგვყავს აქვე სიტყვა კიტა აბაშიძისა:

„რამეთუ არა ვეძიებ ნებასა ჩემსა, არამედ ნებას მომავლინებელისა ჩემისა მამისასა“.

აჰა, საუცხოვო სიტყვები სახარებისა! აჰა, ჩვენ წინაშე უსულოდ მდებარე ცხედარი ძვირფასის ჩვენის ამხანაგისა, ნამდვილი და ჭეშმარიტი განხორციელება ამ დიად აზრისა: კაცი ნიჭიერი, რომლის გულშიაც ზეციური ცეცხლი იყო აღგზნებული, კაცი, რომელსაც შესწევდა ყოველგვარი ძალ-ღონე, აღსრულებისა და დაკმაყოფილება სავსებით „ნება“ თვისი, კაცი, რომელსაც არა უშლიდა რა დაეჭირა „თავის ნების აღმსრულებელთა შორის“ უპირველესი ადგილი, მაგრამ კაცი ესე შვილი იყო ღვთისა, რომელი არა ეძიებდა ნებასა თვისსა, „არამედ ნებასა მომავლინებელისა მისისა მამისასა“. იგი ემსახურებოდა მტკიცე იდეალს, მის გატანჯულისა და განაწამების სამშობლოს სიყვარულისაგან ნაკარნახევსა და ჩაგონებულს: ეს იყო ქართველის ერის კულტურულ ცხოვრების განვითარების იდეალი და ამ იდეალის საკურთხეველზე შესწირა მან მთელი თავისი მდიდარი სიცოცხლე. ამ კაცმა, რომლის ქართულ ენის ცოდნა და პოეტური სიყვარული განსაცდელში ჩავარდნილ ქართულ მართლ წერისა საუცხოვო იყო, რომლის ორიოდე წარმტაცი ლექსი გვარწმუნებს, რომ მისი ადგილი საუკეთესო ჩვენ მწერალთა შორის იყო, მიატოვა ყოველივე ეს და მოგვიპოვა მშვიდობიანის, კულტურულის იარაღით ის მხარე, რომელიც დიდი ხნის ცეცხლითა და მახვილით ჩვენზე მოწყვეტილი იყო. უეჭველი და შეურყეველია ის ფაქტი, რომ თუ ბათომისა და მის მიდამოების კულტურულ ზრდა-განვითარებაში ქართველებს უპირატესი ადგილი უჭირავთ, ეს გრიგოლ ვოლსკის წყალობით, ხოლო ეს კი ისეთი დიდი შრომაა, წყნარად და უყვირლად ასრულებული, რომლისათვისაც ჩვენის საზოგადოებრიობის ისტორია მის სახელს უკვდავსა ჰყოფს. ერთი იმის საყვარელი ქართველი მწერალი მელაპარაკებოდა ამას წინად—და სწორედ ჩვენს ძვირფას გრიშას შესახებ გვქონდა ბაასი—ქართულ საზოგადო სიტყვების განვითარებისთვის მუშაობა თხოულობს მსხვერპლს, მოწამებრივ გვირგვინსაო, და, აჰა, იგი მსხვერპლი აქ ჩვენს წინაშე უსიტყვოდ მდუმარე, აჰა მისი შუბლი ამგვარის მოწამებრივის გვირგვინით შემკობილი! მან აღასრულა „ნება მომავლინებელისა მისისა მამისასა“ და კიდევაც სახარების სიტყვით გამოვიდეს იგი, კეთილის მყოფელი აღდგომასა ცხოვრებისასა“: ჩვენის ბედკრულ, გაწამებულ ერის პირუთვნელი ისტორია მკვდრეთით აღადგენს იმის სახელს, ჩვენ მიერ ვერ დაფასებულს და ვერ შეთვისებულს და თავს მოიხრის ამ უცხო, თავგანწირულ მუშაკის წინაშე. მოვიხაროთ ჩვენ მუხლი ძვირფასის ცხედრის წინაშე, გზა მშვიდობისა დაულოცოთ და გავისტუმროთ იმ მხარეს, რომელსაც შესწირა თავისი მომხიბვლელი პოეტური ნიჭი, მთელი თავისი ცხოვრება, მთელი თავისი „ნება“, და, განისვენოს იქ ტკბილად „მტილსა მას მწვანილოვანსა“ და დაე, იქ დანთხეული ცრემლი მადლობისა და **სინანულისა** ექმნეს ამის სახელს ძეგლად სამარადისოდ.

# თეატრი და ხელოვნება

**ქართული თეატრი.** დღევანდელ ოჯახურ ურთიერთობაში ფარისევლობა ხშირი მოვლენაა მეტიც: მთელი დღევანდელი ოჯახი თითქოს თვალთმაქცობისა და ფარისევლობის საფუძველზეა აგებული: სიყვარულის წილ ხშირად საიდუმლო სიძულვილი იკიდებს ფეხს, პატივის-ცემის ნაცვლად—არად ჩაგდება ადამიანურ ღირსებისა, სიწმინდისა და მყუდროების მაგიერ—თავაღებული სილაღე. ბევრჯელ ოჯახი დაბალ ინსტიქტისა და მარტოოდენ ეგოისტურ კერძოობის მოედანი ხდება. ასეთია ის ოჯახიც, რომელიც წარსულ ხუთშაბათს ქართულ თეატრში გვაჩვენეს. პიესა ეკუთვნის პოლონელ მწერალ ქალს ზაპოლსკაიას (თარგმნილი ვ. აბაშიძის მიერ) და სახელად „ფარისეველი“ ეწოდება. ფარისეველია არა მარტო პიესის ერთი გმირი ზბიშკო (ზარდალიშვილი), ფარისეველია ოჯახის დედაც, მამაც, შვილებიც. ერთი ბავშვია მხოლოდ მთელ ოჯახში გულრწფელი და სულით მაღალი, მაგრამ ისიც სნეული და სხეულით დღე-ნაკლულია. მეორე სპეტაკი არსება მოსამსახურე ქალია, მაგრამ ისიც რომ, დღევანდელ ეკონომიურ ურთიერთობის წყალობით, მონად ქცეული, უსიტყვო არსებაა.

პიესა შინაარსიანია, მხოლოდ მრავალი წვრილმანია შიგ ჩართული, რაც პიესას აჭიანურებს.

პიესა, მთარგმნელის ვ. აბაშიძის რეჟისორობით, რიგიანად წარმოადგინეს. ქ-ნმა ჯავახიშვილმა დედის როლში საკმაოდ ცოცხლად დაგვიხატა სულიერო სიწვრილმანე, ეგოიზმი, გაიძვერაობა პირუტყვილ ცხოვრებით გატაცებულ არსებისა. ბ-ნი ზარდალიშვილი რიგიანი ზბიშკო იყო. უმთავრესი ნაკლი ამ მსახიობისა ყრუ და გაურკვეველი გამოთქმაა. მოგვეწონა გოგოს ხანკას როლში ქ-ნი ქილარჯიშვილი. ქ-ნ ტ. აბაშიძემ ხესიას როლში ჩვეულებრივი სიცოცხლე და სიმკვირცხლე შეიტანა, მხოლოდ ურჩევთ ახალგაზდა მსახიობს, როდესაც სცენაზე საჭიროა ჩულქის ჩაცმა ან იატაკზე გაგორება, „ზომიერება და გონიერება“ დაიცვას ხოლმე. არც დანარჩენ მსახიობებს უღალატნიათ.

ხალხი ძალიან ცოტა იყო თეატრში. „დამბაჩა და რევოლვერი“ ძალიან უხეირო და უაზრო ვოდევილია და უმჯობესია სრულებით ამოშალონ რეპერტუარიდან.

—

**დღევანდელი წარმოდგენა.** დღეისთვის ქართულ თეატრში დანიშნულია უკანასკნელი, გამოსათხოვარი წარმოდგენა ან. ჩირგაძისა, რომელიც შეასრულებს ზეინაბის როლს. ჩვენმა საზოგადოებამ ერთი თვის განმავლობაში საკმაოდ გაიცნო ეს ახალგაზდა მსახიობი. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ იგი დაჯილდოვებულია ძლიერის დრამატიული ნიჭით და ქართულ სცენის დამამშვენებელი შეიქნება. ქ-ნ ჩირგაძის წინ გაშლილია დიდებული ასპარეზი, მძიმე, ხშირად ეკლიანი, მაგრამ მდიდარი თავის ნაყოფით, ბრწყინვალე შემოქმედებით. ეს ასპარეზია, სადაც ადამიანი არტისტი თვით აღინთება უკეთილშობილესის, უფაქიზესის გრძნობებითა და აზრებით და მაყურებლებსაც აღუნთებს იმ უკვდავების ცეცხლს, რომელიც მხოლოდ ერთი ალამაზებს და ამოძრავებს ცხოვრებას. ამ ასპარეზისთვის არის მოწოდებული ა. ჩირგაძე. მისი არსება სცენაზე უნდა განხორციელდეს და თავის მოწოდებას რომ უღალატოს, ეს იქნება საკუთარს ხელით თავის მოკვლა, დამონება საკუთარის სულისა, რომელიც ყოველ სიკვდილზე უარესია. ჩვენ ღრმადა ვართ დარწმუნებულნი, რომ ქ-ნი ჩირქაძე არ დასჯის თავის თავს. შესაფერის დაკვირვებით მოეპყრობა თავის მოწოდებას და და მალე ისევ დაუბრუნდება ჩვენს სცენას, რომლის აღორძინება მარტო მის გვარ ნიჭიერ მსახიობთ შეუძლიანთ.

დღევანდელ წარმოდგენაშივე მონაწილეობას იღებენ ბ-ნი შარაშიძე, რომელიც აგრეთვე პეტერბურგს მიდის სწავლის დასამთავრებლად, ქ-ნი კოლხიდელი და ქუთაისიდან გამოწვეული ბ-ნი გუნია. წარმოდგენილი იქმნება ალ. სუმბათაშვილის „ღალატი“.

—

**ქუთაისი.** ქუთაისის ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასმა 8 ოქტომბერს განიმეორა ანდრეევის პიესა „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“. ხალხი ბლომად დაესწრო, რაც იშვიათი შემთხვევაა ქუთაისში ასე მალე განმეორებულ პიესისათვის. მომქმედ პირთა აღმსრულებელი იყვნენ იგივენი, მხოლოდ ევდოკია ანტონოვნას როლი შეასრულა ქ-ნმა ივანიძემ. ასეთის ცვლილებით პიესამ ბევრი წააგო, რადგან ქ-მა ივანიძემ ვერ დასძლია როლი და თავის ჩვეულობრივი, ივანიძისებური, ელფერი დასდო ამ ორიგინალურ როლს. დანარჩენ აღმსრულებელთა შორის აღვნიშნავთ ბ-ნ გუნიას ონუფრეს როლში, რომელიც ბუნებრივობით მართლა შეუდარებელი იყო. ასეთი როლები ბ-ნ გუნიას სხვაზე მეტად ეხერხება და ლ. ანდრეევის პიესაში ხომ თავის თავს გადააჭარბა. საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ ბ-ნი ყალაბეგიშვილის მოღვაწეობა ქუთაისის სცენაზე. აგერ მეორე წელიწადია, რაც ეს მსახიობი მუშაობს ქუთაისის სცენაზე და არ გვახსოვს, რომ ან როლი არ სცოდნოდეს ან შეუფერებლად ეთამაშოს. ბ-ნი ყალაბეგიშვილი სინდისიერი და მშრომელი მუშაკია ქართულ სცენისა და ეჭვი არ არის, თვალსაჩინო ადგილს დაიჭერს დასში.

—

**ახალი პიესა ქუთაისის სცენაზე.** ქუთ. ქართულ საზოგადოება ამზადებს კოლიუშის პიესის „დიდი კაცის“ თარგმანს ქუთაისის სცენაზე დასადგმელად. ამ პიესაში მრავალი მომქმედი პირია და, როგორც შევიტყეთ გარდა დასის წევრთა, წარმოდგენაში სცენის მოყვარენიც მიიღებენ მონაწილეობას.

# მიხეილ კიკნაძე

გარდაიცვალა ახალგაზდა კაცი მიხეილ კიკნაძე. ელისაბედის ქუჩაზე პატარა სტამბას ამუშავებდა. ხელობით ასოთ-ამწყობი იყო. ამ კაცის დაუღალავ შრომით და დახმარებით იბეჭდებოდა პარიზში 1903—1905 წ. პირველი ქართული თავისუფალი ორგანო „საქართველო“ და „La Géorgie“. ამ გაზეთის სტამბა მოწყობილი იყო ცნობილ სოციალისტ ალემანის დიდ სტამბაში, სადაც კიკნაძეს ერთი კუთხე ჰქონდა მიჩნეული და იქ მუშაობდა. მიხეილი ყრუ იყო და ლაპარაკითაც გამოურკვევლად ლაპარაკობდა. მაგრამ მისი ჭაბუკი სახე, მეტყველი თვალები და მუდმივი ღიმილი, რომელიც ტუჩებზე ეკერა, სასიამოვნოდ ხდიდა მას ყველასთვის და გარეშე ხალხის თანაგრძნობას იზიდავდა. ალემანის სტამბის მუშებს ძლიერ უყვარდათ „მიშელი“, ასე ეძახდნენ მას. სტამბის ქვემოდ პატარა რესტორანი იყო, სადაც სადილობდა მიხეილი. რესტორანის პატრონი და ყველა, ვინც დადიოდა ამ რესტორანში (უმეტესად სტამბის მუშები), დიდის მეგობრობით ეკიდებოდნენ. Bonjour, Michel (მიშელს გაუმარჯოს), ეტყოდნენ ხოლმე აქეთ-იქიდან, დაინახავდნენ თუ არა რესტორანის კარებში. საკვირველი ის იყო, რომ ამ ყრუ კაცმა რამდენიმე თვის განმავლობაში ფრანგული ენა იმდენად შეითვისა, რომ გაზეთსაც კითხულობდა, ფრანგი მეგობრებიც გაიჩინა, რომლებთანაც საუბრობდა ფრანგულად (აწერინებდა ქაღალდზე) და ბოლოს ფრანგულ „La Céorgie“-საც ის აწყობდა.

გაზეთი „საქართველო“ უცხო ქვეყანაში გახიზნული, თავისიანებს დაშორებული, ჯაშუშებით გარსშემორტყმული ხშირად იყო ხიფათის და განსაცდელის გზაზე. ფულიც შემოაკლდებოდა ხოლმე. მიხეილი ერთად-ერთი ამწყობელი იყო გაზეთისა და თავის მოვალეობას არა ღალატობდა და მიუხედავად მრავალგვარ გაჭირვებისა, რომელსაც განიცდიდა დროგამოშვებით, არ აგვიანებდა არც ნომრების აწყობას, არც დასაბეჭდათ გამზადებას. კარგად ესმოდა, რომ დიდ საქმეს ემსახურებოდა და რომ თავის სამშობლოს მომავლის წინაშე ისეთივე პასუხისმგებელია, როგორი პასუხისმგებელნიც იყვნენ გაზეთის ხელმძღვანელნი.

აი ამიტომ კიკნაძის მოულოდნელი და უდროო სიკვდილი გულწრფელად დაიღონებს ყველა მის მეგობარს. დაიღონებს და დაასევდიანებს იმ წრეებს, რომელნიც სულიერად და პრაქტიკულ მოქმედებით დაახლოვებულნი იყვნენ „საქართველოს“ რედაქციასთან და ყველა იმ ორგანოებთან, რომელნიც „საქართველოს“ გაუქმების შემდეგ გამოდიოდნენ უკვე ჩვენს ქვეყანაში. მაშ ნუ დავივიწყებთ მიხეილ კიკნაძეს და გვახსოვდეს ჩვენც და ჩვენს მიმდევრებს, რომ იგი იყო უჩინარი, მაგრამ ნამდვილი მუშაკი ქართულ თავისუფალ სიტყვისა და აზრისა!

# რუსეთი

**გენერალი დუმბაძე და გენერალ-გუბერნატორი ბეკმანი.** ამ რამდენიმე დღის წინედ გენერალმა დუმბაძემ ფინლანდიის გენერალ-გუბერნატორ ბეკმანს დეპეშა გაუგზავნა. დუმბაძე ბეკმანს მადლობას უხდიდა, რომ „ჭეშმარიტ რუსთა კავშირს“ მფარველობას უწევთ და სცდილობთ, რომ გერცენშტეინის მოკვლის საქმე რუსეთის სასამართლომ გაარჩიოსო. „რუსკ. ვედ.“ სიტყვით გენერალ-გუბერნატორ ბეკმანს არ მოსწონებია გენერალ დუმბაძის ქება-ხოტბა და მისი დეპეშა პრემიერი მინისტ სტოლიპინისთვის გადაუცია, შესაფერი განკარგულება მოახდინეთ, რადგან დუმბაძე ჩემ მოქმედებას კრიტიკას უკეთებს, თუმცა კარგის მხრით, მაგრამ მაინც უკეთებსო.

**ოქტომბრისტების კრების მნიშვნელობა.** როგორც მკითხველს მოეხსენება ამ ჟამად მოსკოვში ოქტომბრისტების კრებაა. ოქტომბრისტების პარტიის მემარჯვენე წევრებს უთქვამთ, კრების დადგენილებანი ვერ შესცვლიან სახელმწიფო სათათბიროს ოქტომბრისტთა ფრაქციის ტაქტიკას, რადგან სათათბიროს ოქტომბრისტთა ფრაქციის წევრების დიდი ნაწილი პარტიაში არ შედიან, მხოლოდ ემხრობიან ოქტომბრისტების პროგრამმას, ამიტომ კრებამ რაც გინდა რეზოლიუციები მიიღოს ფრაქციის ტაქტიკაზე გავლენას ვერ იქონიებსო. ყველაფერი თვით ფრაქციის გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებულიო.

**ფინლიანდიაში.** ფინლიანდიის სენატს შეუმუშავებია პეტიცია, რომელსაც ხელმწიფე-იმპერატორს მიართმევენ. სენატი შუამდგომლობს, სამშობლოში დააბრუნეთ ის ფინლიანდელები, რომლებიც პოლიტიკურ საქმეებისთვის ციმბირსა და სხვა ადგილებში გადაასახლესო.

მემარჯვენეებს გადაუწყვეტია, შეეცადონ, რომ ფინლიანდიის შესახებ კანონპროექტები სახელმწიფო სათათბიროს არ გადასცენ. მათის აზრით, ეს კანონ-პროექტები 87 სტატიის ძალით უნდა განხორციელდნენ. მემარჯვენეებისავე შეხედულობით ფინლიანდიას უნდა მიეცეს ფართო თვითმართველობა, მაგრამ უნდა წაერთვას ზოგიერთი განსაკუთრებული უფლებები.

**უარის-თქმა.** „რუსკ. სლოვო“-ს სიტყვით ნიჟნე-ტაგილის ქარხნის მღვდელს გრიგორი ვოგეცკის, პოლიციის წინაღმდეგ, უარი განუცხადებია, აღსარებას არ ვაიქმევინებ ბარიშნიკოვს. ბარიშნიკოვს სიკვდილით დასჯა ჰქონია გადაწყვეტილი და დასჯის წინ ჩვეულებისამებრ აღსარება უნდა ეთქმევინებინათ და ეზიარებინათ. ვოგეცკი ამის გულისთვის ორი კვირით მონასტერში გაუგზავნიათ.

**„განსაკუთრებული წესები“.** „ნოვაია რუს“-ს სიტყვით მართმადიდებელ მისიონერებს სინოდში საინტერესო განცხადება შეუტანიათ. მისიონერები შუამდგომლობენ. „კრამოლნიკურმა“ სახელმწიფო სათათბირომ საქმე ისე დააყენა, რომ მართმადიდებლობიდან მთელი სოფლები სხვა და სხვა სარწმუნოებაში გადადიან და ამიტომ საჭიროა „განსაკუთრებული“ წესების მიღებაო. სჩანს საქმე ძალიან ცუდად ყოფილა, თორემ რად სჭირდებად „განსაკუთრებული წესები“.

**გერცენშტეინის მოკვლის საქმე.** 9 ოქტომბერს ფინლიანდიის სასამართლო გაარჩევს გერცენშტეინის მოკვლის საქმეს. სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით, ფინლიანდიის სასამართლოს დუბროვინისთვის უწყება გაუგზავნია. ამასთან სასამართლოს ადგილობრივ ადმინისტრაციისათვის მოუწერია, თუ დუბროვინი თავის ნებით არ გამოცხადდა, დააპატიმრეთ და დარაჯების თანხლებით კიუვენეპეში ჩამოიყვანეთო.

**პოლიციის დეპარტამენტის განცხადება.** როგორც მკითხველს მოეხსენება, ბურცევმა განაცხადა, ცნობები ზოგიერთ პროვოკატორების შესახებ განსვენებულმა სენატორმა კოვალენსკიმ გადმომცა. (კოვალენსკიმ ამ ორიოდე დღის წინად მოიკლა თავი). პოლიციის დეპარტამენტი ამის შესახებ აცხადებს: „დეპარტამენტს არავითარი ცნობა არა აქვს, რომ კოვალენსკის აგენტები გაეცესო“!


კირველი კერძო სამკურნალო
დოქტ. ნავასარდიანისა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირეების გარდა
დილით:
ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.
უ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანახოვი: 10—11 ს. საშობიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. აველისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. მ. პუგინოვი: 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
ა. ი. კარაპეტიანცი: 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.
ნ. ვ. ალბრეხტი: 12—1¼ ს. შინ. და ბავშვ.
ო. ვ. გეევსკაია-ენგელი: 12—1 ს. საშ., ქალ. და ბავშვ.
საღამოთი:
ო. ვ. გეევსკაია-ენგელი: 6—6½ ს. საშობიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ი. ფ. მარციშევსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი
მედიც. დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.

ქართული ოთხ-ხმიანი საეკლესიო ხორო,
რომელიც შესდგება ოც-და-ორ კაცისა და ქალისაგან და რომელიც გალობს კუკიის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში 8 წელიწადი, მიიღებს მონაწილეობას წირვებზე, ქორწილებზე, სცენებზე, პანაშვიდებზე და მიცვალებულებზე. მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ კუკიის წმინდა ნიკოლოზის მღვდელს ხალამპი ნიკოლოოზის ძეს ხუციშვილს. შეიძლება სამ ხმაზედაც. (1—501.—1) ლოტბარი ნ. ი. ლაბაძე.

გადასდეთ 2 მანეთი
მოიგებთ 2500 მანეთს
გამოგზავნეთ ორი მანეთი და უფლება გექნებათ ¼ ბილეთზე მთავრობის მე-193 ლატარიის მე-4 კლასის ტირაჟის დროს. მოგების ტირაჟი მოხდება 28 და 29 ოქტომბერს და რადგან მსურველი ბევრია, ამიტომ გირჩევთ დააჩქაროთ ფულის გაგზავნა. ფულის მიღებასთანავე გამოგეგზავნებათ დაწესებული მოწმობა, იმ ნომრის აღნიშვნით, რომლითაც მონაწილეობას იღებთ. ტირაჟის შემდეგ მონაწილეთ დაეგზავნებათ ოფიციალური ცხრილი მოგებისა. მოგებს დეპეშით ეცნობება და ფული ადრესის თანახმად გაეგზავნება. მსურველთ ვთხოვ მომმართონ ამ ადრესით: Въ контору В. А. Френзель, Варшава, Красинская пл. N 2. დეპეშის ადრესი: Варшава, Френзель, Красинская N 2. მთელი ბილეთისთვის საჭიროა 8 მან. (მოგება 10,000 მან.;) ნახევარ ბილეთისთვის—4 მან. (მოგება 5000 მან.). (2—ნ.—2)

ახლად გახსნილ ლორის-მელიქოვ. ქ. № 6, ფოსტის მახლობლად ხრომოლიტოგრაფიაში
„ამხ.-ბა ლევიტ და მესნიკ“
შეიძლება შეკვეთა ყოველგვარ სალიტოგრაფო საქმისა. ფასები ზომიერია. ყველაფერი კოხტად და კარგად კეთდება. სპეციალურად სადარბაზო ბარათები, ბლანკები, ანგარიშები. (12—გაქ.—3)

I მანეთიდან ფულის გადახდა ნაწილ ნაწილათ I მანეთიდან
ხელის მაშინები 25 მანეთიდან
იყიდება იმპერიის ყველა ქალაქში, განსაკუთრებით საკუთარ მაღაზიებში.
ტფილისში სამი განყოფილებაა; 1. გოლოვინის პროსპექტზე სასახლის პირდაპირ; 2 ვოგზლის ქუჩაზე, სახლი ენფიანჯიანცისა; 3. ავლაბარში, კახეთის ქუჩაზე, სახლი ჯალალოვისა. (20—გაქ.—4)
ШВЕЙНЫЯ МАШИНЫ КОМПАНИИ ЗИНГЕРЪ
THE SINGER MANFG. CO. TRADE MARK

პროვოდნიკის
1897 წ. 1908 წ. 1888
ПОСТАВЩИКЪ ДВОРА ЕГО ИМПЕРАТОРСКАГО ВЕЛИЧЕСТВА
ФАБРИЧ. КЛЕЙМО Т. Р. Ф. З. ПРОВОДНИКЪ РИГА
ამხანაგობა
რიგაში
სადაბრიკო საწყობი ამიერ-კავკასიისთვის ტფილისში
სოლოლაკის ქუჩა, № 4.
იყიდება ნარდად და ცალობით:
რეზინის, კანაფის და სხვა მილები სხვა და სხვა საქმისთვის,
რეზინის ტეხნიკური და ელექტრო-ტეხნიკური ნაწარმოები და ფოტოგრაფიის კუთვნილებები,
რქის რეზინისა და ებონიტის ნაწარმოებები,
იზოლაციონი და საკაბელო კუთვნილებები,
რეზინის საქირურგიო და სამკურნალო ნაწარმოებები,
რეზინის სათამაშოები და ბურთები,
რეზინის საგალანტერეიო საქონელი,
საშლელი რეზინი „სპილოს“ მარკისას


სტამბა „სინათლე“ როსის ქუჩა № 3.
რედაქტორ-გამომცემელი ი. ნ. აგლაძე.